


საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საძმომი, ზღაპრულ ბეჭდ-
ვად სიფყვას, ფეხილებით და ჭაბჭაბით ბუბ-
ლის გატანა ყველა უკიდრისადაც უსადაგლესია.

სუთშაბათი, 21 აპრილი. 2016 წ. №74 (7966), გამოცემის 98-ე წელი

ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ფასი 50 თეთრი.



7

გაღელავს გათენების უზინით!

რატომ ჰქონდა „ფორუმს“ რამდენიმე თვით აღრე კოალიციიდან გასვლის გეგმა?

საქართველოს უსტატუსო მოქალაქეები

რა აღუდგენს ღირს ნდობას?

იაფი სანჯაპის ხანა გაგრძელდა

მედიის თავისუფლების მხრივ საქართველო ხუთი საუზნარით ღანინაურდა

საერთაშორისო უფლებადამც-
ველმა ორგანიზაციამ „რეპორტიორებ-
მა საზღვრებს გარეშე“ მსოფლიოში მე-
დიის თავისუფლების 2016 წლის ინდექს-
სი გამოაქვეყნა, რომლის მიხედვი-
თაც 180 ქვეყანას შორის საქართველო
64-ე ადგილს იკავებს. 2015 წელთან შე-
დარებით მედიის თავისუფლების მხრივ
საქართველოში მდგომარეობა გაუმ-
ჯობესდა და ქვეყანა ხუთი საფეხურით
დაწინაურდა.

ევროპის საბჭოს გენერალური მაისში საქართველოს ენაზე



ფოთა იმ მხრივ, რომ სწორედ ქართული მხარის ინიციატივით შემუშავდა ამბიციური
სამშლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც ქვეყანაში დემოკრატიის, ადამიანის უფლე-
ბებისა და კანონის უზენაესობის განმტკიცებას მოემსახურება.

გიორგი კვირიკაშვილმა ტორბიორნ იაგლანდს საქართველო-ევროსაბჭოს
თანამშრომლობის გაღრმავებაში შეტანილი პირადი წვლილისთვის მადლობა
გადაუხადა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს მიაწო-
და ინფორმაცია ოკუპირებულ რეგიონებში ადამიანის უფლებათა დაცვის
თვალსაზრისით არსებული მდგომარეობის შესახებ. ტორბიორნ იაგლანდმა განაცხა-
და, რომ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ვითარება ევრო-
საბჭოს დღის წესრიგში შენარჩუნდება.

პრესაპარლამენტო ოპოზიციის პრ სუბპრობ



„პატრიოტთა ალიანსის“
ოფისში შეხვედრას არასაპარლა-
მენტო პოლიტიკური პარტიების
წარმომადგენლები და ინტერპარ-
ტიული ჯგუფის თითქმის მთელი
შემადგენლობა დაესწრო. ირმა
ინაშვილის განცხადებით, მათ გა-
დაწყვიტეს, შექმნან საკოორდინა-
ციო საბჭო. ამასთან, არ არის გა-
მორიცხული, რომ არჩევნებში, ინ-
ტერპარტიული ჯგუფი და „პატ-
რიოტთა ალიანსი“ კოალიციის სა-
ხით წარდგენ.

„ჩამოვადგალიბეთ ოპოზიციურ პარტიათა საკოორდინაციო საბჭო,
რომლის მთავარი მიზანია, გავერთიანოთ ჩვენი ძალების, ვიმოქმედოთ ერ-
თობლივად, როგორც წინასაარჩევნო პროცესში, ისე არჩევნების დღეს. ჩვენ ვი-
მოქმედებთ, როგორც საპროტესტო აქციების დაგეგმვის და განხორციელების
კუთხით, ჩვენ ვიმოქმედებთ წინასაარჩევნო პროცესზე მონიტორინგის კუთხით.
რაც შეეხება ბლოკის ფორმირებას, საარჩევნო კოალიციების ფორმირებას, ჩვენ
გვინერია ამ დებულებაში, რომ ვიმოქმედებთ ამ მიმართულებით, რა თქმა უნდა,
არანაირად არ გამოვრიცხავთ იმას, რომ გაერთიანებული ძალებით წარდგეს ოპო-
ზიცია ამ არჩევნებში“, – განაცხადა ინაშვილმა.

პატრიოტთა ალიანსს პროქარტული ოპოზიციის უჭირავს

მრავალპარტიის ლიდერი გოგი თოფაძე საპარლამენტო არჩევნებზე პატ-
რიოტთა ალიანსთან გაერთიანებას არ გამოცხადებს.

ამის შესახებ გოგი თოფაძემ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე თე-
მის კომენტარებისას განაცხადა.

„დღესდღეობით ვცდილობთ, არჩევნებზე მართლ გავიდეთ, თუმცა ალიანსს
ძალიან დიდ პატივს ვცემთ. ძალიან ობიექტური ტელევიზია შექმნეს განსხვავე-
ბით სხვა ტელეარხებისგან. პროქარტული პოზიცია უჭირავთ.
პატივს ვცემთ თარსან-მოურავსაც, ქალბატონ ირმასაც, არ გა-
მოვრიცხავ, მაგრამ ჯერ ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვ-
ლენები. ვფიქრობთ, ჩვენ გვაქვს ბევრთან იმდენი უზიარტესო-
ბა, რომ ყველა საარჩევნო უბანში ჩვენი წარმომადგენელი გვყავს.
ყველა უბანზე გვყავს დამკვირვებლები – საკმაოდ გამოცდილი
ხალხი გვყავს და გვაქვს იმედი, რომ არჩევნებს არავინ გააყალბებს.
ვნახოთ პოლიტიკური სიტუაცია როგორ განვითარდება. არა-
ვისთან ალიანსს არ გამოვრიცხავთ“, – განაცხადა გოგი თოფაძემ.



„რუსთაველის ეპოქის საქართველოს ისტორია“



6

დაპით ალაშენაშვილის მემკვიდრეანი

დრო ცვლის შეფასებას

უსნოპი ბანერალისიფუსი...



4

ნიკოლოზ ვასილკის
ჩანახედეები



სოთა ზოიძე

სურათები ურხევი
ქალბატონების სამარხების
მსოქარებიდან

უღელური ღლიჩაბი

ამბავი ღაქარბული
ხელნაწარებისა

9

თაიფურაზ ღანჩაშვილი

სიტყვას ვთესავ, სიტყვას ვიბეკი, სიტყვა სულის წამაღლია...

5



**იქნებ მინისტრებსა და მაღალჩინოსნებს
სერგაენკოტოვის მიუგებიათ?!**

გუშინ ჯანდაცვის მინისტრს პარლამენტში, ჯანდაცვის კომიტეტის სხდომაზე მოუხმინეს. როგორც დაგით სერგეენკო გამოცხადებაში განაცხადა, საყოველთაო ჯანდაცვა შენარჩუნებული იქნება. მისივე თქმით, 2016 წლის მონაცემებით, 650 ათასი კერძო სადაზღვევო პოლისი გაიცა და ეს ადამიანები კერძო დაზღვევით სარგებლობენ, რომელსაც სახელმწიფო ფულს არ უხდის.



„ისინი თავისი ჯიბიდან იხდიან და ეს, სავარაუდოდ, ის ნაწილია, მალალი და სა-
შუალო შემოსავალი რომ აქეთ. ეს მოსახ-
ლეობის 17 პროცენტია. საჯარო დაწესებუ-
ლებებში საყოველთაო ჯანდაცვით არ სარგებლობენ და კერძო დაზღ-
ვევაში არიან, ანუ საჯარო ჯანმრთელობისთვის ფულს თავისი ხელ-
ფასიდან იხდიან. სამინისტროებში ერთადერთი გამოწვევის მე ვარ,
ჯანდაცვის სამინისტრო კი, მთლიანად კორპორაციული დაზღვევ-
ით სარგებლობს. ჩემი პირადი გადაწყვეტილება იყო, რომ სიმბო-
ლურად, თეორიულად, საყოველთაო დაზღვევის ბენეფიციარი ყო-
ფილიყავი. თუმცა, 3,5 წლის მანძილზე, სახელმწიფო ბიუჯეტიდან
საკუთარი ჯანმრთელობისთვის ერთი კაპიკიც არ დამიხარჯავს. ამას
სხვა გზებით ვაგავრდებო და, საბედნიეროდ, ჯანმრთელობის მოვლა
არ დამჭირებოდა, — განაცხადა მინისტრმა.

**სახელმწიფო და მუნიციპალური
ტერიტორიების უპანონოდ მითვისება
მასობრივ ხასიათს იძენს!**

თბილისის მერია მოქალაქეების მიერ სახელმწიფო და მუნიციპალური ტერიტორიების უკანონოდ მითვისებასთან დაკავშირებით ასეთ განცხადებას ავრცელებს:

ბოლო პერიოდში მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ არაერთხელ აღიწერა სახელმწიფო და მუნიციპალური ტერიტორიების უკანონო მითვისების ფაქტები, რასთან დაკავშირებითაც, დედაქალაქის მერიის მხრიდან რამდენჯერმე გავრცელდა ინფორმაცია და მოქალაქეებს მიეცათ გაფრთხილება უკანონო ნაგებობების დემონტაჟის თაობაზე.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, დედაქალაქის მასშტაბით, სა-
ხელმწიფო და მუნიციპალური ტერიტორიების უკანონოდ მითვისება
მასიურ ხასიათს იძენს, რაზეც თბილისის მერიის ზედამხედველ-
ობის საქალაქო სამსახური მყისიერად რეაგირებს.

ამ ეტაპზე, ზედაშედეგულობის სამსახურს პირვანდელ მდგომარეობაში მოჰყავს ის მართივი და ასევე, კაპიტალურად აგებული კონსტრუქციები, სადაც არაერთხელ იქნა დატოვებული შეტყობინება, თუმცა მოქალაქეების მხრიდან გამოხატულება არ მოჰყოლია, ანუ არსებობს ვარაუდი, რომ ნაგებობებში არავინ ცხოვრობდა და ტერიტორიები დაკავებული იყო შემდგომში დაკანონების მიზნით. ამჟამად აფირებს დასახლებაში, მებაღეობის ქუჩის №29 კორპუსის მიმდებარედ მსგავსი შენობების დემონტაჟი მიმდინარეობს.

ამასთან, ამავე ტერიტორიაზე ადმინისტრაციული საქმის წარმოება დაწყებულია კიდევ 15 ფაქტზე და შედგენილია მითითების აქტები თბილისის მერიის შეასანგებოს იმ მოქალაქეებს, რომლებიც მიწის ნაკვეთების თვითნებურად მითვისებას ცდილობენ, რომ უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების გადაცემა ხდება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით, მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური კი სასტუმარიდან ახორციელებს კონტროლს და მსგავსი ფაქტების გამოვლენის შემთხვევაში მიმართავს კანონით გათვალისწინებულ ღონისძიებებს!

**უპრაინა ქართოპლი ნაცებოსგან
ნელ-ნელა იზმინდება**

**უპრპინის შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ეკა ზღუ-
ლაძე თანამდებობას ტოვებს.**

გავრცელებული ინფორმაციით, ზღულადის განცხადება ხელმძღვანელობასთან შეთანხმებული ჯერ არ არის.

პოლიტიკოსი თანამდებობას საკუთარი სურვილით ტოვებს და, სავარაუდოდ, შინაგან საქმეთა მინისტრი არსენ ავაკოვი მას დარჩენას სთხოვს. მისივე თქმით, ავაკოვისთვის ზღულადის წასვლა მნიშვნელოვან საიმპიჯო დანაკარგს ნიშნავს.



წყაროს ინფორმაციით, ზღუ-
ლაძის გადადგომის სავარაუდო
მიზეზი, შინაგან საქმეთა სამინის-
ტროს რეფორმის და კადრების გა-
დამზადების ჩავარდნა შეიძლება
იყოს.

სავარაუდოდ, იმავე ნაბიჯს უკ-
რაინის ეროვნული პოლიციის
ხელმძღვანელი ხატია დეკანოიძეც
გადადგამს.

**თბილისის აღვოკატთა ასოციაციის წევრს
7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა**

**საქართველოს პროკურატურის მიერ გაგრძე-
ლებული ინფორმაციით, თბილისის საქალაქო სა-
სამართლო სრულად გაიზიარა პროკურატურის მი-
ერ წარდგენილი მტკიცებულებები და საქართველოს
ადვოკატთა ასოციაციის წევრი, ადვოკატი ირაკლი
კვინიტაძე თალღალთური გზით დიდი ოდენობით თან-
ის დაუპატიჟადაში დამნაშავედ (ჯნ).**

სასამართლოში პროკურატურის მიერ წარდგნილი მტკიცებულებების გამოკვლევის შედეგად დადისტურდა, რომ ადვოკატი ირაკლი კვინიტაძე დაზარალებულების ატყუებად, თითქმისა და ახლო მეგობრული ურთიერთობა და პირდაპირი კავშირები ჰქონდა საქართველოს თავიანთი პროკურატურის უმაღლეს თანამდებობას პირებთან და მთავრობის წევრებთან. ახერხებდა რა დაზარალებულების ნდობის მოპოვებას, ირაკლი კვინტაძე

რაძე არწმუნებდა მათ, რომ საქართველოს პროკურატურის მაღალი თანამდებობის პირებთან პირადი ურთიერთობის მეშვეობით, ქრთამის მიცემის გზით შეძლებდა დაზარალებულებთან დაცემის გარეშე სისხლის სამართლის საქმიანზე შეღავათიანი პირობებით საპროცესო შეთანხმების გაფორმების მიღწევას და მათთვის სასურველი შედეგით დასრულებას. ამ გზით ადვოკატი ირაკლი კვინიტრაძე მოტყუებით დაფუძნა რამდენიმე მოქალაქის კუთვნილ თანხას 13 700 აშშ დოლარის და 7150 ლარის ოდენობით.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ირაკლი კვინიტრაძე დაწინაურებულ ცნო დანაშაულის ჩადენისთვის და სასჯელის ზომად 7 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 5000 ლარის ოდენობით განუსაზღვრა.

© საარჩევნო მმართველობა

**რაგომ ჰქონდა „ფორუმს“
რამდენიმე თვით აღჩა
კოალიციიდან გასვლის გეგმა?**

საუთმობანი წინასაარჩევნო
პერიოდი ზოგიერთ პოლიტიკურ
პარტიას ეცომავება, ზოგს კი მი-
რიქით, საკმაოდ დროდ მაიწნა-
მათ შორის არიან „ქართული ოც-
ნებისა“ და „ფორუმის“ წევრები,
რომლებმაც პოლიტიკურ ასპარე-
ზად სცადადსნეს გზა აირჩიეს, თუმ-
ცა კი, მათ შორის ერთი საერთო
ოთხწლიანი წარსულია.

რომელი პარტია სად გადანაწილდება, ვისთან შექმნის კოალიციას და ვის აირჩევს პოლიტიკურ პარტნიორად, ამაზე საუბარი თითოესრ ნაადრევია, თუმცა კი – ყველაზე საინტერესოა და ინტრიგის მატარებელი. „ქართული



ოცნების“ ფრაქციის ლიდერი **გია ვოლსკი** ფიქრობს, რომ პარტიებს მოუწევთ, სხვა რაკუსობის მეხედომ ვითარებას, შეაფასონ სიტუაციები და გადაახედონ პროცესებს. რაც შეეხება თავად დეპუტატის საარჩევნო სიაში მოხვედრას, მისი განცხადებით ამ საკითხზე კონსულტაციები ჯერ არ ყოფილა: „**სულ რაღაც სამი კვირა დღია პარტიის ყრილობამდე და ამის შემდეგ გაირკვევა, ვინ დარჩება და ვინ იქნება პარტიის სიაში... ჩვენს გუნდს საკმაო რესურსი აქვს ამომრჩევლის მხარდაჭერის მოსაპოვებლად**“.

კითხვაზე, თუ რატომ უნდა დაუჭიროებს მხარე მოქმედ ხელისუფლებას ამომრჩეველმა, გიგულაშვილის პასუხი ასეთია: „მართლმაც ოცნებამ“ თავისი ნიში დაიკავა. ვფიქრობთ, რომ ეს არის სწორი დამოკიდებულება ქვეყნისადმი, საგარეო ფაქტორებისადმი, ევროვნულობისადმი. ჩვენ ვცდილობთ, რუსეთთან მოლაპარაკებების გრძელვადიანი პროცესის დაწყებას, რომელიც ურთულესია, მძიმეა. ამ ფონზე მიღწევები გვაქვს ევროპაში ინტეგრირების მიმართულებითაც... ჩვენ არ გვიწყდა „ხელედი“

წერტილის“ შექმნა საქართველოს ტერიტორიაზე, ეს დაუშვებელია“.

რაც შეეხება შიდაფაქტორებს და განვლილი ოთხი წლის შეფასებას, უმრავლესობის ნეკრიც აღიარებს, რომ განსაკუთრებული ჩავარდნა ჰქონდათ პიარის მიმართულებით და ახლაც აქვთ, რადგან გაკვეთული საქმეების ნაღმოჩენის პრობლემები დღემდე შენარჩუნებულია.

„როცა განვლილი ოთხი წლის შეფასებას მიზნოვნენ, ერთი ეპიზოდები მახსენდება ყოველი წელისთვის — მმართველობის პერიოდებიდან, რომელმაც შოკში ჩამგდო. კადრები, სადაც წაქცეულ ბუტარობაქიძეს მოკითხავს ასევე მინაზე გაართმეული მეგობარი, ცოცხალია თუ არაო? ახალგაზრდა პოლიციელი კი ღვარძლიანად ეუბნება, შესედე, დააკვირდი, ცოცხალია თუ არაო. ამ დროს ბუტა უკვე გარდაცვლილია.“

ჩვენ შევქმელით და შევცვალოთ ის დანაშაულებრივი სისტემა, რომელმაც მსხვერპლად აქცია არა მხოლოდ გარდაცვლილი ბიჭები, არამედ პოლიციელებიც. ეს იქცა ნაციონალური ხელისუფლების დამახასიათებელ ნიშნად. ჩვენ დავემარცხეთ ეს უზნეობა და ეს არა-ლოდეს განმეორდება საქართველოში.

სამშუპსაროდ, საზოგადოებამ ცოტა იცის ჩვენს მუშაობაზე, განსაკუთრებით პარლამენტის საქმიანობაზე, რა კანონები მივიღეთ, რა პროექტები განვახორციელეთ. რატომა ჟუნდ, ეს ჩვენი პრაღიციდა, რასაც გულსიტკივლით ვაღიარებთ», - აღნიშნავს დეპუტატი.

როგორც კი ლაპარაკი დაიწყო „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიის დაკომპლექტების პროცესზე, კვლავ აქტიულორებად ბიძინა ივანიშვილის თემა ჩაერევა თუ არა ის ამ პროცესში? გია ვოლსკის მტკიცებობა, ვინაიდან ივანიშვილი პარტიის დამფუძნებელია, მას აქვს უფლება, მომავალი პარლამენტარების სიის შერჩევის პროცესში მიიღოს მონაწილეობა. „ჩარევა“ უხეში სიტყვაა, „მონაწილეობის მიღება“ კი უკვე სხვა ტერმინია, — ამბობს დეპუტატი, — ბიძინა ივანიშვილი ახასიათებს არაფერში ჩარეულა ძალით... სწორად გვეკამათია, იყო ცხარე დებატები ამა თუ იმ მნიშვნელოვან საკითხზე, მაგრამ ეს არ ყოფილა კარნახი. ივანიშვილთან კონსულტაციები ყოველთვის იყო ჯანსაღი და ეს არ ნიშნავდა ძალისმიერ გავლენას. ახლა ყველაფერს წყვეტს პოლიტსაბჭო და საარჩევნო შტაბი“.

კოალიციიდან გასული „ფორუმის“ ერთ-ერთი ლიდერი **გუზო სანიკიძე**ც ირწმუნება, რომ პოლიტიკურ ცხოვრებაში ბიძინა ივანიშვილი არასოდეს ზედმეტად არ ჩარეულა. „ჩემი მაგალითით შემიძლია ვიმსჯელო. იმ მართაულებით, რაზეც მე გუშუაობდი პარლამენტში, არ მახსოვს, რომ ოდესმე ბიძინა ივანიშვილი ჩარეულიყო, თუნდაც ირიბი მიზნით. მაგავეთხმა რამეზე. არადა, სამეზობლო პოლიტიკა და ქვეყნის უსაფრთხოება, რომელსაც მე ვეწელობდი, ძალიან მნიშვნელოვანი საკითხები იყო. ერთადერთხელ, ბატონ რეზო ტყეშელის დეკრძალვაზე დამისვა რამდენიმე შეკითხვა ირანთან ჩვენს ურთიერთობის პერსპექტივასთან

დავაგვირგით. ეს იყო და ეს. ასე რომ, საუბარი იმაზე, ერევა თუ არა ბიძინა ივანიშვილი „ქართული ოცნების“ გადარწმუნებებებში, ხშირად ძალიან გადაჭარბებული მგონია“ – დასძენს ყოფილი კოალიციელი.

გუბაზ სანიკიძე ერთმნიშვნელოვნად აცხადებს, რომ ასეთი-ვე ჭრილობა სიყალბეა ხმები, თითქმის „ფორუმი“ რომელიმე პარტიასთან ან პარტიებთან კოალიციის შექმნას გეგმავს. „რიგ-გარეშე ყრილობის გადაწყვეტილებით, ოქტომბრის არჩევნებში „ეროვნული ფორუმი“ მართლ გადის. ერთადერთი, რაც ვიცით, ის არის, რომ სიის სათავეში ვახანერ შარტავა იქნება. სხვა არაფერზე ჯერ არ შევთანხმებულავართ არც სიის შემადგენლობაზე, არც მაჟორიტარებაზე“.

როგორც აღვნიშნეთ, სანიკიძე მიიჩნევს, რომ სუთი თვე სრულიად საკმარისია ინსაბარჩენონ სამზადისთვის. ის ფიქრობს, რომ ფორუმი ერთ-ერთი ყველაზე სტრუქტურულიზებული, გამართული მექანიზმის მქონე პოლიტიკური ორგანიზაციაა სხვა პარტიებთან შედარებით, და რომ, ტექნიკურ დეტალებზე დროის ხარჯვა არ მოუწევთ. დეკლარატიურწინაშეა, რომ კოალიციიდან გასვლის პარტიისთვის ხელი არ მუშაობს და რომ „ფორუმს“ რამდენიმე თვის წინათ ჰქონდა დამუშავებული სცენარები: კოალიციაში თუ კოალიციის გარეშ. **„დეკლარატიურ წინაშეა გასვლითი“**



კონფერენცია, სადაც გულდასმით განვიხილეთ ორი ვარიანტი: კოალიციაში, ან კოალიციის მიღმა, რას გაცემთ, თუ როგორ ვიქცევით... ამის მიუხედავად, ფორუმზე“ არ არის ის პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელსაც კოალიციის დაშლის მცდელობებში ჰქონდა. ჩვენი მიზნებით კოალიცია არ დაშლილა, თუმცა, მზად ვიყავით ამისთვის“.

სამაგიეროდ, გუბაზი სანიკიძე მზად არ აღმოჩნდა კითხვისთვის, რომელიც „საქართველოს რესპუბლიკამ“ დაუსვა: — რას ეტყვი ამომრჩეველს, რატომ უნდა დაუჭიროს მხარი „ფორუმს“ და არა არსებულ ხელისუფლებას, რომლის თანაშრინაწილე აქამდე იყავი. რითი იქნება „ფორუმის“ დაპირებები ოცნების დაპირებებზე უკეთესი?

—მაზე პასუხს არ გაცემთ, — გვიპასუხა ღიპუტატმა, — **საარჩევნო მიმართულებებზე ოფიციალური პრეზენტაციები გაინაწილებს. რაც შეეხება განვლილ წლებს, „ფორუმი“ პასუხს აგებს ყველა იმ გადანაცვლებას, რომელიც კოალიციაში ყოფნისას მიუღია. თავის არიდებას არ ვპირდება!**

თავი მონი

იაფი სანჯაპის ხანა გაგრძელდა

მბტარის დედაქალაქ დოზაში ნავთობმომპოვებელთა შეხვედრა უშედეგოდ დასრულდა. მენავთობე ქვეყნებმა შეთანხმება ვერ მიაღწიეს. ამის გამო შავმა ოქრომ მკვეთრი გაიარა და დაიწყო და პროცესი მინიმუმ ივნისამდე გაგრძელდება.

ყატარის შესხვედრაზე ნავთობის მოპოვების „გა-ყინვის“ შეთანხმება ოპეკში შემაჯავლი ქვეყნების ნაწილის მოულოდნელად შეცვლილმა პოზიციამ ჩაშალა. ქვეყნებს ბაზარზე წილის დაკარგვა აშინებთ, ისინი ითხოვენ, რომ შეთანხმება ყველაზე გავრცელდეს. ეს იდეა კი სულაც არ მოსწონს ირანს, რომელიც ცდილობს, ბაზარზე წლები განმავლობაში დაკარგული პოზიცია დაიბრუნოს.

„მათ პოზიციას, ფაქტობრივად, შესხვედრის დაწყებამდე შეცვალეს და განაცხადეს, რომ ეს შეთანხმება მხოლოდ იმ შემთხვევაში შედგებოდა, თუ მას შეუერთდებოდნენ კარტელის ყველა წევრი და ასევე ის მსხვილი ექსპორტიორები, რომლებიც კარტელის წევრები არ არიან და არც ამ შესხვედრაში მონაწილეობდნენ“, – განაცხადა რუსეთის ენერგეტიკის მინისტრმა ალექსანდრ ნოვაკმა.

თავიდანვე ყველასთვის ცნობილი იყო, რომ ირანი ამ შეთანხმებასთან შეერთებას არც აპირებდა, რის გამოც, სამიტზე ნავთობმომპოვების სფეროს მინისტრიც კი არ გაუშვა. თეირანს ბაზარზე საკუ-



თარი წილის დაბრუნება სურს. სხვათა შორის, ნავთობის მოპოვების შემცირებისთვის მზად არ არის საუდის არაბეთიც. სააგენტო „როიტერის“ ინფორმაციით, ამ ქვეყნის ენერგეტიკის მინისტრმა შეთანხმების პროექტის გადახედვა მოითხოვა. პროექტი ნავთობის მოპოვების 2016 წლის იანვრის დონეზე „გაყინვას“, სამეთვალყურეო კომიტეტის შექმნასა და ოქტომბერში ახალი შესხვედრის გამართვას ითვალისწინებდა.

საუდის არაბეთმა, კვლავინდებურად, დაჟინებით მოითხოვა, რომ შეთანხმებას ოპეკის ყველა წევრი ქვეყანა, მათ შორის ირანიც, შეერთებოდა, რომელიც „გაყინვის“ გადამწყვეტილებას საერთოდაც არც კი განიხილავს.

გარდა ამისა, პროექტი ოპეკის რამდენიმე წევრი ქვეყანის წარმომადგენელმაც დაინუნა და აღნიშნა, რომ მასში ბევრი დეტალი ბუნდოვანი იყო. სრული გაურკვევლობის ფონზე ბოლოლა მენავთობეების შესხვედრა უნაყოფოდ დასრულდა, მომდევნო შესხვედრა კი ივნისში დაანონსდა.

ჩაშლილმა შესხვედრამ ნავთობის ფასის ვარდნა გამოიწვია. ლონდონში, „ბრენტის“ ტიპის ნავთობის ფასი 6%-ით, ხოლო ნიუ-იორკში „ლაითის“ ფასი 7%-ით შემცირდა.

ექსპერტები ვარაუდობენ, რომ შავი ოქროს ფასი 30-35 დოლარის ნიშნულამდე შემცირდება, რაც ნავთობის მწარმოებელ ქვეყნებში ვალუტების დევალვაციას გამოიწვევს.

ამჟამად ნავთობის მიწოდება მნიშვნელოვნად აჭარბებს მოთხოვნას. ფაქტობრივად, „შავი ოქროს“ მარაგით გადავსებულია სახმელეთო და საზღვაო ტერმინალები, მათ შორის, საზღვაო ტანკერებიც.

ბაზარზე ჭარბი მიწოდების მიუხედავად, ნავთობის მოპოვების კიდევ უფრო ზრდას პროგნოზირებს აშშ-ის ენერგეტიკის სამინისტროს ენერგეტიკული საინფორმაციო სამმართველო. ამ უწყების მონაცემებით, 2017 წლის მეორე ნახევრიდან ოპეკი ნავთობის დღიურ მოპოვებას 32,8 მილიონ ბარელამდე გაზრდის. დღეისათვის კი, ოპეკის ნავთობის მოპოვების ოფიციალური კვოტა დღეში 30 მილიონი ბარელის ფარგლებშია.

რა აღუდგენს ლარს ნდობას?

ლარის მომავალს ყველა თანდათან იმედის თვალით უცქერს. ბანკირები, ფინანსისტები და ექსპერტები უკვე ერთხმად ამბობენ, რომ ეროვნული ვალუტას კარგი პერსპექტივა აქვს. ახლა მთავარია, საზოგადოებაში ლარის მიმართ ნდობა აღდგეს.

„ვითიბი ბანკის“ გენერალური დირექტორი არჩილ კონცელიძე ლარის დასტაბილურებას რამდენიმე თვეში ელის, მას შემდეგ, რაც საარჩევნო ბატალიები ჩაივლის. კონცელიძე კვარტალში ბანკების საქმიანობას მაღალ შეფასებას აძლევს, კორპორაციული მიმართულებით შთამბეჭდავ ზრდას ამჩნევს, რადგან ბიზნესის აქტივობა მაღალია. გარკვეული შეფერხებებია სამომხმარებლო ბაზარზე ლარის ნაკლებად პროგნოზირებადი კურსის გამო. მომხმარებელი ფრთხილობს სესხის აღებისას, შესაბამისად, ბაზრიდან არ არის საკმარისი მოთხოვნა. თუმცა, ბანკირი მიიჩნევს, რომ ეს ყველაფერი საპარლამენტო არჩევნების შემდეგ მოგვარდება.

სააბანკო სფეროს ექსპერტები კი კურსის გამყარებასთან ერთად უმნიშვნელოვანეს საკითხად ეროვნული ვალუტის მიმართ ნდობის აღდგენას ასახელებენ. ამჟამად ლარის რეპუტაცია ძალიან არის შელახული და იმიჯის აღდგენაც ასე მალე ვერ მოხერხდება.

ეკონომისტი დავით ასლანიშვილის აზრით, თუ გაგრძელდა ის პოლიტიკა, რომელსაც ახლა ატარებს ეროვნული ბანკის ცოტათი განახლებული შემადგენლობა, ამ შემთხვევაში ლარის კურსის დასტაბილურების ამჟამინდელი სასიკეთო ნიშნები, ალბათ, უფრო გაგრძელდება.

იგი ყურადღებას ამახვილებს სავალუტო ვაჭრობის მეთოდურ და კურსის დადგენის გაუმჭირვალობაზე. **„ბლუმბერგის სისტემით ჩვენ არ ვიცით, რა რაოდენობის ვალუტის ყიდვა-გაყიდვის შედეგად დგინდება კურსი. ეს არის სისტემის მთავარი მინუსი. ბანკთაშორის ბირჟაზე, რომელიც წლების წინათ არსებობდა, შესაძლებ-**

ლობა იყო, რომ დაგვეჩახა ნებისმიერი ბანკი და თვალი გვედევნებინა ვაჭრობისთვის. სამწუხაროდ, „ბლუმბერგის“ სისტემით რეალობაში მივიღეთ არატრანზფერენტული გარემო.

ჩვენ არ ვიცით, რა ბრუნვა ელექტრონული ვაჭრობის დროს. შესაძლოა 100 დოლარის ყიდვა-გაყიდვითაც ლარის კურსმა ცვლილება განიცადოს. ჩვენთვის გაუგებარია, რამდენად სრულდება „ბლუმბერგში“ დადებული განაცხადები, შესაძლოა, ვიღაცამ არ შეასრულოს და



არ ვიცით, რამდენადაა კურსი დაცული ასეთი „ფიქციური“ ვაჭრობისაგან. ეს ინფორმაცია უნდა იყოს ღია და გზავიდეტ“, – ამბობს ასლანიშვილი.

„ადმირალ მარკეტის“ ანალიტიკოსის დავით ნიქარძისთვის ამ ეტაპზე მთავარ გამოწვევად სახელმწიფო

ბიუჯეტი რჩება. იგი მიიჩნევს, რომ თუ ბიუჯეტი თანაბარზომიერად დაიხარჯება, ლარს უკეთესი მომავალი ექნება, მით უმეტეს, რომ ქვეყანაში ტურისტული სფერო იწყება.

„საგარეო კუთხით ვითარება შედარებით დამშვიდდა. საბედნიეროდ, აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის ომი შეჩერდა, თურქეთსა და რუსეთს შორის დაძაბული ურთიერთობა შედარებით მიწნარდა. ახლა მთავარია, შიგნითაც დალაგდეს ყველაფერი, ეკონომიკა უნდა გაჯანსაღდეს, შეჩერდეს ექსპორტის ვარდნა. ვითარების გაუმჯობესებისათვის კი ეფექტური პროექტები უნდა შეიქმნას. ახალი პრემიერი ბევრ რაღაცას გვპირდება, მაგრამ საქმე რეალურად უნდა დაიწყო“, – ამბობს დავით ნიქარძე.

საქართველოს უსტაფუსო მოქალაქეები

მაჰმადიბნე მესხების ჩამოსახლების პროცესი სამცხე-ჯავახეთში თითქმის ორი ათეული წელია, მიმდინარეობს. გოგონების განათლების პრობლემა, დოკუმენტაციის მოუნესრიგებლობა და ინფორმაციული ვაკუუმი რეალურად ქმნის იმ პრობლემებს, რომელთაც საქართველოში ჩამოსახლებული მაჰმადიანი მესხები აწყდებიან.

სტატუსის უქონლობა და სახელმწიფო ენის უცოდინრობა იწვევს რეპატრირებული მესხების უფლებების დარღვევას – განსაკუთრებით, ბავშვებში, – ამბობენ მესამე სექტორის წარმომადგენლები. უსტატუსო და მყოფი ოჯახები ხშირად აწყდებიან სამართლებრივ პრობლემებს, რის გამოც საქართველოში თავის დამკვიდრება უჭირთ, – განმარტავენ უფლებადამც-

ველები. მათ ამ პოზიციას ეთანხმებიან ახალციხეში მცხოვრები მაჰმადიანი მესხები.

გაუთვითცნობიერებლობა და კანონის უცოდინრობა – ეს არის მთავარი მიზეზი იმისა, რომ ჩამოსახლებული მაჰმადიანი მესხები ატესტატს ვერ იღებენ. არასამთავრობო ორგანიზაცია „ტოლერანტის“ ხელმძღვანელი მიიჩნევს, რომ ბავშვებს ენის შესწავლაში დახმარება სჭირდებათ. ცირა მესხიშვილი ფიქრობს, რომ სახელმწიფომ ამ მიმართულებით სერიოზულად უნდა იმუშაოს. რეპატრაციასთან დაკავშირებით ქართულმა მხარემ მაჰმადიანი მესხებისგან 5000-ზე მეტი განაცხადი მიიღო.

მაია იველაშვილი



საშუალო განსხლუბები დიდი სისრაფით იხსება

მთის კანონის ნაწილობრივ ამოქმედებას რეგიონებში დიდი აქტიურობა მოჰყვა. გამგებებში უკვე ასობით განცხადება შესული. მას შემდეგ, რაც კანონის სრულად ამოქმედება, შემდეგ კი მიმართვიანობა პიკს მიაღწევს. შესაბამისად, ადგილობრივ ხელისუფლებას სწრაფი რეაგირება მოუწევს.

2015 წლის 14 დეკემბერს პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით გამართულ ეროვნული საბჭოს სხდომაზე დამტკიცდა მაღალმთიანი დასახლების სტატუსის მქონე დასახლებათა ნუსხა. სია საქართველოში მდებარე 1600 დასახლებულ პუნქტს აერთიანებს. ეს სტატუსი დასახლებებს 10 წლის განმავლობაში შეუნარჩუნდებათ. 10 წლის შემდეგ კი, კანონის მოქმედების შედეგებიდან გამომდინარე, გადაიხინჯება დასახლებული პუნქტების სია.

კანონის მთავარი მისიაა მთის დაცლის პროცესის შეჩერება, ეკონომიკის განვითარება და სამუშაო ადგილების შექმნა. აღსანიშნავია, რომ 2014 წელს ჩატარებული საყოველთაო აღწერის შედეგების მიხედვით, სოფლის მოსახლეობა თითქმის 24 პროცენტითაა შემცირებული.

დუშეთის გამგებელი ვაჟა ჩოხელი აცხადებს, რომ გამგებაში მოქალაქეების მიმართვიანობა იანვრიდანვე დაიწყო. მუნიციპალიტეტში შექმნილია საბჭო, რომელიც თითოეულ განცხადებას ინდივიდუალურად განიხილავს. ჩოხელი აცხადებს, რომ გამგება მაქსიმალურად ცდილობს, განიხილა არ გააჭიანუროს და მათში მუდმივად მცხოვრების სტატუსი მოქალაქეებს რაც შეიძლება სწრაფად მიანიჭოს.

იანვრიდან დღემდე ადგილობრივმა მუნიციპალიტეტმა დაახლოებით 300 ინდივიდუალური მიმართვა განიხილა. „კომერსანტის“ ინფორმაციით, დუშეთის მუნიციპალიტეტში 100-ზე მეტი დასახლებული ობიექტია, რომელიც მთის კანონით დადგენილ ნუსხაში შედის და რომლის მოსახლეობასაც შეღავათებით სარგებლობა შეუძლია.

მესტიის გამგებლის ინფორმაციით, კანონის ამოქმედების დროისთვის მუნიციპალიტეტმა სხვადასხვა სამინისტროდან მიიღო იმ ადამიანების მონაცემთა ბაზა, ვინც კანონის ბენეფიციარია. კახა ჟორჟოლიანი აცხადებს, რომ ამ ფორმით სტატუსი 5 ათასზე მეტ ადამიანს მიენიჭა.

რაც შეეხება ინდივიდუალურ მიმართვებს, მესტიის გამგებელი ამბობს, რომ ამ დრომდე დაახლოებით 200-მდე მიმართვაა გამგებაში შესული. ეს ის პირები არიან, რომლებიც სამინისტროების მიერ გადმოგზავნილ ნუსხაში ვერ მოხვდნენ, თუმცა, მიიჩნევენ, რომ მათში მუდმივად მცხოვრების სტატუსი და, შესაბამისად, შეღავათები სახელმწიფოსგან მათაც ეკუთვნით.

კახა ჟორჟოლიანი მიმართვიანობის გაზრდას სექტემბრისთვის ელოდება, როდესაც ასაკით პენსიონერების პენსია გაიზრდება.

მიმართვიანობა აქტიურია ადიგენის მუნიციპალიტეტშიც, სადაც მთის კანონის შეღავათები 33 დასახლებულ პუნქტზე ვრცელდება. ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგებელი ზაქარია ენდელაძე ამბობს, რომ მოსახლეობის მხრიდან დაინტერესება მთაში მცხოვრები მოქალაქის სტატუსის მიღებასთან დაკავშირებით საკმაოდ დიდია.

მაღალ მთაში მცხოვრებ მოსახლეობას მნიშვნელოვანი შეღავათები უნესდება. გაიზრდება პენსია და სოციალური დახმარება, დენის გადასახადზე სუბსიდია დაუნესდება, ხოლო იქ მომუშავე პედაგოგებისა და მედპერსონალის ანაზღაურება თვალშისაცმად მოიმატება.

მაღალმთიან რაიონებში მცხოვრები ოჯახები პირველ და მეორე ბავშვზე სახელმწიფოსგან ერთი წლის განმავლობაში, ყოველთვიური დანაშტის სახით, 100 ლარს მიიღებენ. მესამე და ყოველ შემდგომ ბავშვზე – ორი წლის განმავლობაში არანაქლავა 200 ლარის დახმარებას. ფიზიკური პირი თავისუფლდება საშემოსავლო და ძონების გადასახადებისგან, მინარში, მაღალმთიანი დასახლების საწარმოს სტატუსით, თავისუფლდება მოგებისა და ძონების გადასახადებისგან. პენსიიზე ყოველთვიური დანაშტის მიწინაა პარანაქლავა 20% და სოციალური პაპიტიც 20%-ით გაიზრდება.

მაია დანელია

გამარჯვების პარადი

ჩვენამდე არმიაში ორ მაისს ბერლინი აიღო და რაინსტაგის შენობაზე საბჭოთა დროშა აფრიალდა. 9 მაისს გერმანიაში ხელი კაპიტულაციას მოაწერა. ზეიმობდა ქვეყანა, ზეიმობდა მოსკოვი — მოსკოვის ქუჩებში უჩვეულო გამოცხადება სუფევდა.

ნათელი მოედანი ხალხით იყო სავსე. სამხედროებს ეხვეოდნენ, ჰკოცნიდნენ, ჰაერში ისროდნენ. გული ყველას სიამაყით და სიხარულით ჰქონდა სავსე, მარშალი როკოსოვსკი იმ დღეს ჩაიკოვსკის დარბაზში კონცერტს უსმენდა, დარბაზიდან ხელში აყვანილი გამოიყვანეს და სცენაზე ასე ხელში აყვანილი აიყვანეს... 1945 წლის ცხრა მაისი უქმე დღედ იქნა გამოცხადებული, ხოლო ამავე წლის 24 ივნისს ნათელი მოედანზე გამარჯვების პარადი მოეწყო. პარადში მონაწილეობდნენ ფრონტების ნაკრები პოლკები სარდლების მეთაურობით.

საუცხოო, განუმეორებელი იყო ის პარადი. პარადის მისაღებად სპასკის ქიშკრიდან თეთრ ცხენზე ამხედრებული მარშალი ჟუკოვის გამოჩენა, დიდებული სანახავი იყო. გამოცდილი კავალერისტი, პარადის განმარტებული მარშალი როკოსოვსკი შავი ფერის ცხენზე იჯდა. თავსებად ნიშნა მოდიოდა. მაგრამ, ყურადღებას არაავინ აქცევდა. ჩანს, არაფერს შეეძლო, გაეუფერებინა ის სიხარულით სავსე, ამალელებული განწყობა, რომელიც იმ დღეს ნათელ მოედანზე სუფევდა. დიახ, ასეთი პარადი მოკვს არასოდეს ენახა. რამდენი სახელგანთქმული სარდალი, რამდენი გმირი, რამდენი საბრძოლო დიდებით მოსილი დროშა ნახეს პარადზე მოფრიალე იქ მყოფმა ადამიანებმა. მაგრამ ყველაზე ამალელებული იყო ის მომენტი, როცა ორკესტრი დუმდა, ჩამონოლილ სიჩუმეში დოლების მკვეთრი ხმა გაისმა და გამარჯვებულების ფეხით მტრის დროშები დაიყარა. დროშა უამრავი იყო, მაგზოლეუმის წინ გროვა-გროვა ეყარა. დიახ, მტრის დროშებმა ისილა ნათელი მოედანი, რაზეც ასე ოცნებობდნენ გერმანიის არმიის სარდლები, მაგრამ ეს იყო კრემლის კედელთან განადგურებული მტრის დროშები.

მეორე დღეს, ოცდახუთ ივნისს, კრემლის დიდ სასახლეში პარადის მონაწილეთა პატივსაცემად მიღება გაიმართა.

სადღებრივო

ბზნა შეიძლება დაადანაშაულო სტალინი ყოფილობაში, ვინც მავანთა და მავანთა აზრით, ომში იმ გამარჯვებას საკუთარ თავს მიაწერს. მაშინ იმ მავანთა და მავანთა აზრის უგულვებელსაყოფად გაეცხადნენ 1945 წლის ოცდაოთხ მაისს სარდლების პატივსაცემად გამართულ მიღებაზე მის მიერ წარმოთქმული სადღეგრძელო. სტალინმა საბჭოთა ხალხის, ხოლო, პირველ რიგში, რუსი ხალხის სადღეგრძელო შესვა, ხალხისა, რომელსაც აქვს ნათელი გონება, მტკიცე ნებისყოფა და დიდი მოთმინება.

აი, რა თქვა იმ სადღეგრძელოში სტალინმა: „ჩვენ, ხელისუფლებას, ცოტა შეცდომა არ მოსვლია. 1941-1942 წლებში იყო მომენტები, როცა ძალიან მძიმე, გამოუვალ მდგომარეობაშიც კი ვყოფილვართ. ეს ის დროა, ჩვენი არმია რომ ისევდა, მაგრამ რუს ხალხს სჯეროდა თავისი ხელისუფლების პოლიტიკისა და მიდიოდა და მსხვერპლზე, რათა ფაშისტურ გერმანიაზე გაემარჯვა. სწორედ რუსი ხალხის ეს ნდობა აღმოჩნდა ის გადამწყვეტი ძალა, რამაც კაცობრიობის მტერზე — ფაშიზმზე ისტორიული გამარჯვება უზრუნველყო. მაღლობა რუს ხალხს, მაღლობა ამ ნდობისათვის... გაუმარჯოს რუს ხალხს!...“ — დაამთავრა თავისი სადღეგრძელო სტალინმა.

„პირვნების კულტი“

სტალინის გარდაცვალების შემდეგ გაჩნდა ასეთი გამოთქმები — „პიროვნების კულტი“... „ეს იყო პიროვნების კულტის პერიოდში?“... რაც ისე უნდა გავიგოთ, თითქოს ქვეყანაში ამ დროს უკანონოება სუფევდა, ხელისუფლება აკეთებდა იმას, რასაც მოისურვებდა, არავის და არაფერს უწევდა ანგარიშს. მაგრამ, იყო ეს ასე?

1930-იან წლებში გაიხსნა რამდენიმე შეთქმულება, რომელთა შესახებ უკვე მოგიყვით, ჩატარდა იაგოდას სასამართლო.

დასაწყისი № 65-73



უსწოპი ბენერალისიეუსი...

სტალინი. პირადი ცხოვრება



ნიკოლა
ვასილის
ჩანაწერები

მტრების მიერ მოკლულ იქნა კიროვი. მტრის ხელით დაიღუპნენ მენჟინსკი, კუბიშევი, მაქსიმ გორკის ვაჟი შვილი, ა.შ. და ა.შ. ცხადია, საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მტრების ამ ბოროტმოქმედებას შეუძლებელია დაჭერების ტალღა არ მოჰყოლოდა. მართალია, ყოველი დაჭერა კანონის ფარგლებში ხდებოდა, მაგრამ მტერი მარტო არ მოქმედებდა, მას თანამზრახველები ჰყავდნენ.

სიტყვა „კულტი“ რას ნიშნავს? „კულტი“ ეს არის სიტყვა, რაც რომელიმე პიროვნების მიმართ თავყანისცემას, ვინმეს ან რაიმის უსაფუძვლო, გადაჭარბებულ დაფასებას ნიშნავს. მაგრამ, თუ ადამიანი, უფრო სწორედ, ხელმძღვანელი თავისი საქმიანობა და მოქმედებით ირგვლივ მყოფთა სიყვარულს და პატივისცემას იმსახურებს, რა არის ამაში ცუდი? „კულტი“ მაშინ არის, როცა სიყვარული და პატივისცემა დაუმსახურებელი და ზღვარგადასულია. თუმცა, არ უნდა დავივიწყოთ, რომ შეუძლებელია ხალხს ვინმეს სიყვარული შენი ნება-სურვილით განგებ მოახვიო თავს. ეს მხოლოდ ხალხის ნებით, მისი სურვილით არის შესაძლებელი. ვერავითარი აგიტაცია, ვერავითარი რეკ-

ლამა ვერ შეძლებს, ხალხს ვინმეს სიყვარული და პატივისცემა აიძულოს, იქნება ეს სახელმწიფო მოღვაწე თუ მსახიობი. ხალხს უყვარდა პატივისცემდა სტალინს, ის თავად განასახიერებდა ქვეყანას, რომელიც აყვავებისა და გამარჯვებისკენ მიჰყავდა. მისი ხელმძღვანელობით ბევრი კარგი რამ გავკეთდა ხალხისა და ქვეყნისათვის და ხალხი ამას ხედავდა, ამიტომაც სარგებლობდა ის უზარმაზარი ავტორიტეტით... სტალინს მე ძალიან ახლოს ვიცნობდი, ვიცოდი მისი კარგიცა და ავიც და ვამტკიცებ და ვადასტურებ, რომ სტალინი ცხოვრობდა მხოლოდ ქვეყნის ინტერესებით, ინტერესებით თავისი ხალხისა. დიახ, არ ჰქონია მას პირადი ცხოვრება! სულაც არ მიმაჩნია, დიახ, სულაც არ მგონია, რომ კულტმა, რაზეც ახლა ასე ბევრს ლაპარაკობენ, რაიმე ვნება მიაყენა ქვეყანას.

კუბაში ხალხს ძალიან უყარს თავისი ბელადი და ხელმძღვანელი ფიდელ კასტრო, ვინაიდან, დაიმსახურა მან ეს სიყვარული, ვინაიდან ბევრი რამ გააკეთა და აკეთებს ხალხისათვის... თუ იმ ქვეყნის მცხოვრებლები წერენ — ფიდელ, ეს შენი სახელია! — განა ჰგავს ეს კულტს?!... ვითომ რა არის ამაში ცუდი?

ჩვენი ჯარისკაცები ომში — სამშობლოსათვის, სტალინისათვის! — ამ შეძახილით მიდიოდნენ, ისინი მას სამშობლოსაგან არ განასხვავებდნენ — ნუთუ ასწავლეს, შთააგონეს ეს ხალხს? არა, ეს ყველაფერი ხდებოდა სტიქიურად და ქვეყანას გამარჯვებაში ეხმარებოდა...

ეს იმ ადამიანის სიკეთე და დიდი ადამიანობა საკუთარ თავზე გამოცხადე, მჯეროდა მისი, მიყვარდა და უსაზღვროდ ერთგული, ყოველთვის მზად ვიყავი, თავი გამეწირა მისთვის! მე ხომ არავინ მაძალბებდა, მე ხომ არავინ მიტარებდა ამისთვის აგიტაციას?! და მაინც — ის ჩემთვის პარტიას და ხალხს განასახიერებდა!...

სტალინი სიყვარულით და პატივისცემით სარგებლობდა, ჰქონდა უდიდესი ავტორიტეტი არა მარტო თავის ქვეყანაში, არამედ მსოფლიოში, ადვილია, დაადანაშაულო ადამიანი, როდესაც ის ცოცხალი არ არის და თავის არც გამართლება შეუძლია, არც დაცვა. სიცოცხლეში რატომ ვერავინ მიუთითა შეცდომები? ხელს რა უშლიდათ? შიში? ან იქნებ არ იყო ის შეცდომები, რაზეც უნდა მიეთითებინათ? ხომ როგორი მკაცრი იყო ივან გროზნი, მაგრამ მოიძებნენ ადამიანები, რომლებიც არ შეუშინდნენ სიკვდილს და მიუთითეს მის მიერ ჩადენილ შეცდომებზე — ან იქნებ აღარ არსებობენ მამაცი რუსი ადამიანები? არა, ომმა აჩვენა, რომ სუსანიები არ გადაშენებულან რუსეთის მიწაზე. ახალგაზრდები, რომლებმაც ვერ მოასწრეს, ვერაფერი ნახეს და განიცადეს, დაუფიქრებლად წირავდნენ სიცოცხლეს სამშობლოსთვის, საკუთარი მკერდით იცავდნენ საკუთარ მიწა-წყალს მტრისაგან.

* * *

დიდხანს დუმდა ყველა, ვერავინ ბედავდა, უარყო, გაებათილებინა თუნდაც ერთი ბრალდება, წამოყენებული მიცვალებულის წინააღმდეგ. მხოლოდ ცამეტი წლის შემდეგ გაჩნდა გამართლების მოკრძალებული მცდელობა. აკრიტიკებდნენ რა სტალინს, ამტკიცებდნენ, ომის დროს სტალინი ფრონტზე საომარ ქმედებებს გლობუსით ხელმძღვანელობდაო.

ადმირალმა ნ.გ. კუზნეცოვმა თავის წიგნში — „ომის წინააღმდეგ“ (1966 წ.), იმისთვის რომ გაებათილებინა მათი ეს მტკიცება, წერს: სრულიად არ არის მართალი ის ღვარძლიანი მტკიცება, თითქოს ი.ბ. სტალინი გლობუსის მიხედვით აფასებდა ვითარებას ამა თუ იმ



ფრონტზე და მხოლოდ ამის შემდეგ ლებულობდა გადაწყვეტილებას.

მე შემძლია მოვიყვანო მაგალითი (თანაც უამრავი), სამხედრო მეთაურებთან ვითარების დაზუსტების შემდეგ თუ როგორ ზუსტად იცოდა სტალინმა, რა პოზიციაში უნდა ყოფილიყო თითოეული პოლკი საჭიროების შემთხვევაში... 1967 წლის გაზეთ „კრასნაია ზეზუდაში“ დაბეჭდილ სტატიაში — „მემუარისტი და ისტორია“, გენერალ-მაიორი ფილინი და პოლკოვნიკი მაკაროვი წერენ: „უმაღლესი მთავარსარდალი ი.ბ. სტალინი იჩენდა დიდ სიმტკიცეს, მთლიანობაში სწორად ხელმძღვანელობდა სამხედრო ქმედებებს და ამ მხრივ დიდი დამსახურება აქვს ამ დარგში“. სწორედ ამ მოკრძალებულმა მცდელობებმა შეუწყო ხელი, ბელადის რეაბილიტაციის კეთილშობილურ საქმეს. იმედს არ ვკარგავ, რომ ბოლოს და ბოლოს სიმართლე გაიმარჯვებს.

(გაბრიელა იმნაია)

სიტყვას ვთესავ, სიტყვას ვიძი, სიტყვა სულის წამალია...

„...ნიშნები კაცი ოპტიმისტი, მაძიებელი, დამეში დღეს ეძებს, ტკივილში — სიხარულს, სიმწარეში — სიტკბოს, მტერში — მოყვარეს.

ნიჭის გვირგვინი დიდებაა. დრო ქსოვს ამ გვირგვინს და მაშინ გიბოძებს, როცა დროს გაუსწრებ.

ნიჭი წამებით მოიბოვება. ზოგჯერ წამება კეთილი საწყისია გამოღვიძების, მარადიულ ძილს რომ ეწინააღმდეგება.

მხოლოდ ქრისტე აღმოჩნდა ამ მარადიული ძილიდან გამოხმობილი ნათელი.

ეძებე შენი თავი ნათელში...“

ამ სიტყვებით მთავრდება ცნობილი მწერლის, საქართველოს მწერალთა კავშირის იმერეთის სამხარეო ორგანიზაციის თავმჯდომარის, ქუთაისის საპატიო მოქალაქის თამარაზ ლანჩავას ორტომეული.

„...თეიმურაზ ლანჩავას სახით ქართულ მწერლობაში მოვიდა ორიგინალური ხედვის ახალგაზრდა კაცი, რომლის მხატვრული აზროვნება, იუმორი საკმარისია იმისთვის, რომ გადიართო, გზა დაგულოცოთ ცხოვრების დიდ სარბიელზე“, წერდა ნოდარ ღმრთაძემ, როცა თეიმურაზ ლანჩავას ნოველების პირველი წიგნი „ჩემი მხიარული მოწყენილობა“ გამოიცა.



...არ მეგონა ამჟამინდელ საქართველოში ასე აფორიაქებული კაცი თუ დადიოდა ქუთაისში!..

აფერუმ, თემურ!

მეიმედები!..

ეს კი მუხრან მაჭაზარიანის შეფასებაა, თავისი ლექსებით რომ გაახარა თეიმურაზ ლანჩავამ.

ამ მორთმაცხეული შემოქმედის ღვაწლსა და მამულიშვილობაზე არა ერთი და ორი ცნობილი მწერლისა და მთაწარისის წერილი დაიბეჭდა ქართულ და უცხოურ მასშედიში.

სულ ახლახან თეიმურაზ ლანჩავას საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ „ხელოვნების ქურუმის“ წოდება მიანიჭა. ის არის ილია ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას, გალაკტიონ ტაბიძის, აკაკი წერეთლის, დავით კლდიაშვილის, ნიკო ნიკოლაძის, გიორგი ლენინის, აბუსერიძე ტბელის, ოთარ მამფორიასა და მუხრან მაჭაზარიანის პრემიების ლაურეატი, მნიშვნელოვანი აქვს ქართული კულტურის დესპანისა და რაინდის წოდებები, დაჯილდოებულია ბრწყინვალეობის ორდენით.

თეიმურაზ ლანჩავას რამდენიმე ახალ ლექსს დღეს ჩვენი გაზეთის მკითხველიც გაეცნობა...

გილოცავთ დაბადების დღეს, ჩვენო იმერული გაზაფხულივით ლამაზი სიტყვის, ლექსის, ოჯახისა და მონაგარის შემოქმედო!

„საპარტიზოლო რესპუბლიკის“ რედაქცია

თეიმურაზ ლანჩავა

მიწის ზემოთ ვინ დაგტოვებს, შენც სამარეს გაგათხიან, იმ მიწაში დაგმარხავენ, სადაც მეფე დავითია.

სადაც რუსთაველი სახლობს, წაიყრიან მიწას ძვლები, მთავარია მოახერხე და სიკვდილი შეიძელი.

ხარ სიკვდილშიც ზედნიერი (რასაც ვამბობ, ჩვენი დარჩეს), ზოგი სიკვდილამდე კვდება, შენ სიკვდილი გადგარჩენს.

* * *

შენა ხარ ჩემი დიდი სიზმარი და მოლოდინი სიზმარში სახლობს, გამოქცეული უმადურობას, დასახლებული ტვიფილის ახლოს.

გამოვიზამთრე წელსაც ღრუბლებში და როცა ფრთები ცას შევატოვე, დამრჩა იმედად შენი ნუგეში, მონანიება და სიმართლე.

* * *

ახურავს ქალაქს ღრუბელი წვიმად, რომ მოლოდინი ათევიფოს მტვერში და მახსენდება დიდი ხნის წინათ, როგორ ვეძებდი სიყვარულს თქვენში. თქვენ კი ხუჭავდით თვალს რატომღაც, არ დამენახა, არ მეგრძნო ფიქრით... რად მიმალავდით სევდას, სინანულს, გამრწყინებული თვალის იქით.

* * *

გავშვი ოთახში ქოლგას მახურავს, ჭერი გვაქვს, მაგრამ ვერ გვშველის ჭერი, გამოქცევა წვიმა სახურავს, მოუხატია სისველით მტენი.

მხატვრობა წვიმის უკვირს პატარას, უკვირს, ვერ გვიცავს რადგან კრამიტი, დაუკითხავად სახლში შემოდის აჯანყებული სველი ამინდი.

ვზივართ ქოლგის ქვეშ, შიშით შევცქერით დროით დამზარულ მეგრე კრამიტებს, შევცქერით ზეცას იმის იმედით, რომ უსათუოდ გაიამინდებს.

* * *

დამიზამთრდება ისეთ დროს, გაზაფხულისთვის ვწალობ, შემეშველები, მპატრონობ, გემრალევი და მწყალობ.

ისევ თავიდან იწყება, მოლოდინები ხეაღის, გემური ქედი ირწყება, უღელდაღმებული ხარის.

ცოდვა-მადლისგან დაღლილი,

დამძიმებული ქედით, მივართევ დროს და საფიქრალს უმადურობის გვერდით.

დაწყვილებული სიკვდილთან, სიცოცხლისათვის ვწვალთ, გმადლობთ, უფალო, ჯერ კიდევ არ გამიმეტე, მწყალობ.

* * *

ხომ არ დაგტოვებ მოლოდინმა გარეშე ფიქრის, ცრემლები თქვენი სინანულში ხომ არ გაწვიმდა, როგორც მახსოვხართ, ისეთივე მრძანდებით თითქმის. ესაა მხოლოდ წლები დროში გადანაწილდა. მოგონებებით გაზაფხული შემოგვინებთ, ატმის ყვავილით, სიწარმტაცით, უამრავ ფერით, თქვენ უსათუოდ სიყვარულის ვალი გვექნებათ, მეგრმა ზამთარმა გაზაფხული შეიგრძნო თქვენით. ვალში ვარ თქვენთან, რომ მიყვარდით, რომ გამისხენით, რომ მიმაჯაჭვებთ თქვენს სიმშვიდეს მთელი არსებით. მთელი ცხოვრება ჩემს გარეშე რომ არ ისვენებთ, მადლობელი ვარ, სიზმრის დროს რომ გაგახსენდით.

* * *

მე სიკვდილი შენს თვალეში სიკვდილამდე დამინახავს, შენს გარეშე უშენობა სინანულში დამიმარხავს.

ვტიროდი და ვერ ხედავდნენ, გულის ვარამს დროს ვატანდი, შავი მეცვა, შავს ვუცქერდი, გამხნევემდი, თოვლს ვხატავდი.

თოვლი დადნა, ცა გაწვიმდა, მიწიერი გადამწვანდა, სატკივარი განაწილდა, აღარაფრის აღარ მჭამდა.

ახლა ციდან დამცქერხიხარ, გინდა, მონატრებად ვლირდე, ჩემი ფრთები შენ წაიდე, როგორ უნდა ამოფრინდე.

* * *

რად ეწოდა აფხაზეთის ომი, ძმას ძმა მტრად რად გადაჰვიდა, ღმერთმა,

იმ ომშიაც ერთი იყო ორი და ორივეს საქართველო ერქვა. შერიგებებს მომავალი ითხოვს და დრო გადაქცეულია გლოვად,

ერთმანეთი დაგვაფიქრა თითქოს, აღარ გვახსოვს ქართველები რომ ვართ.

რად ეწოდა აფხაზეთის ომი, რა შევცოდეთ, რომ გაგვწინა ღმერთმა, იმ ომშიაც ერთი იყო ორი, და ორთავეს საქართველო ერქვა.

* * *

რომ მეცხოვრა თბილისში პლენაროვზე, ვერაზე, ცოტა მეტი მეფიქრა დროზე, ზედისწერაზე.

მექნებოდა უფლისგან უფრო მეტი შეწევნა, ვინ მიშლიდა, რაც მსურდა, როგორც მსურდა, მეწერა.

ანდა ვინ დამიშლიდა რუსთაველზე ხეტილს, ჩასულს დედაქალაქში ქუთაისელ ტეტისა.

მეც თავს მოვიწონებდი თბილისელის ღირსებით, ქუჩა-ქუჩა ვივლიდი, გახეხილი ჯინსებით.

ცისფერ ეკრანებიდან მეც მრავალჯერ მნახავდით ჩემი მოსაზრებებით აჭრელეზულ ქაღალდით.

პროვინციებს მოვფენდი ჩემს სურათებს პროფილით, ვიქნებოდი მოქმედი... სიფათით — კმაყოფილი.

დავრჩი პროვინციაში დროით უკმაყოფილო, რასაც მომამადლიან, ვიზოვაც და ვყოფივარ.

ხმას ძლივს ვაწვდენ შორიდან მოფუსფუსე პარტიებს, ანდა რომ ვთქვა, რაც მინდა, მაგას ვინ მაპატიებს.

კი არ ვყვირი, ვერხულებ, კი არ ვიზრძვი, ვწუწუნებ, ღმერთს მადლობის მაგივრად ჩემს გაჩენას ვუწუნებ.

რომ მეცხოვრა თბილისში, პლენაროვზე, ვერაზე...

* * *

სიტყვას ვთესავ, სიტყვას ვიძი, სიტყვა სულის წამალია, სიტყვის აქეთ სამოთხეა, სიტყვის იქით წვევარამია. ვაჩუქურთმებ, სიტყვით ვაგებ

თვალუწვდენელ ღვთიურ ტაძრებს, სიტყვა იზოვინებს, გაძლებს, კლდეს ღუმელი ჩამოაქცევს.

ვკვდები, სიტყვა მიმაცილებს, სიტყვაში ვარ, ვცოცხლობ როცა, რაც ღუმელმა წარიტაცა, დამიმრუნა, სიტყვამ მომცა.

სიტყვით ვმეფობ სიტყვის მონა, სიტყვის იქით ვიმზინებ, წყალშერეულ ქვიშასავით სინანულში ვიმილები.

და ხმაურობს სიტყვა მსუყე, სიტყვა ტკბილი, სიტყვა მკაცრი, სიტყვას განსაცდელში ვფანტავ, სიტყვას არაფერში არ ვცვლი.

ვიმორჩილებ სიტყვის კაცებს, ვმოსავ უსათნოეს ფიქრით, არაფერი არ არსებობს უკეთესი, სიტყვის იქით.

სიტყვა მარადიულია, ფერს არ იცვლის, არ ხავსდება, რაც დრო გავა, იხასხასებს, ერთიორად დაფასდება.

საკუთარ თავს სიტყვაში ვცვლი, სიტყვით ვაცოცხლებ და ვმარხავ, თუ ისურვებ, დამაკვირდი და სიტყვაში დამინახავ.

* * *

მოსარჩლეს და მოიმედეს აღარ ვეძებ, მედი მწარობს, იმედისთვის მე კი არა, მთელი საქართველო წვალობს. გესლს ანთხევენ მოქიშპენი, ყამი აზინძურებს წყაროს, სუფთა გრძნობის მოსანახად, მთელი საქართველო წვალობს, ნება მომცა, საკუთარ თავს სიცოცხლეში დავმარხავდი, რომ არ მითხრან — შენც ამ დროში უიმედოდ დაგლახავდი.

* * *

ჩემში დაეძებ მოშურნეს, მკლავ უსაფუძვლო მრალდებით, ყოველთვის დამნაშავე ვარ, შენ მოსამართლე მრძანდები.

მოხვალ, მდუმარედ წამიხვალ, ხარ გატეხილი ფიცივით, სხვის მრალდებებში წამიხმარ, გულს გამიყინავ სიცვიით.

ცდილობ, რომ გამიადარდე, ცხოვრება გამიხალვათო, ვცოცხლობდე, ჩემ თავს არ ვგავდე, გძულდე და არ გიღალატო.

დაპით ალაშენელის მემკვიდრე

„შეწყალი შვილთაჲ საქაოლსა“

დემეტრე პირველის მეფობის დროს მუსლიმური სახელმწიფოები აახლებენ ბრძოლას სამხრეთ კავკასიის მიწების ხელში ჩასაგდებად. ქართველები იძულებული ხდებიან, ზოგი ადგილი დაუთმონ მტერს (მაგ., ანისი მუსლიმი მფლობელის ხელთ გადავიდა ყმადნაფიცობის პირობით). 1138 წელს ქართველებმა განძა აიღეს, მაგრამ ვერ შეინარჩუნეს, და ეს ქალაქი კარგა ხანს დარჩა მუსლიმთა საფრედნე პუნქტად საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლაში.

დიდაზნაურები კვლავ იწყებენ ბრძოლას თავიანთი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესაფერისი პოლიტიკური უფლებების მოპოვებისათვის. დიდ ფეოდალთა ჯგუფის მხარდაჭერით, დემეტრე მეფეს ტახტს ეცილებოდნენ ჯერ მისი ძმა ვახტანგი, შემდეგ უფროსი შვილი დავითი. ამ უკანასკნელმა მამას მეფობაზე ხელი ააღებინა და თვითონ მიიტაცა სამეფო გვირგვინი. დავითს ერთი წელიც არ უმეფია. იგი გარდაიცვალა. ტახტი კვლავ დემეტრე პირველმა დაიკავა და 1156 წელს ტახტზე უმცროსი შვილი გიორგი (მეფობაში გიორგი III) აიყვანა.

გიორგი III-ის პოლიტიკის ძირითად ხაზს, წინამორბედ მეფეთა მსგავსად, მუსლიმურ ქვეყნებთან ბრძოლა შეადგენდა. ეს ბრძოლა გარკვეული წარმატებებით აღინიშნა. 1161 წელს გიორგი მეფემ ანისზე გაილაშქრა, ქალაქი აიღო, ამირსპასალარს — ივანე ორბელს მიანდო მისი მართვა-გამგებლობა, თანაშემწედ კი დიდებული სარგის მხარგრძელი დაუნიშნა. გამარჯვებულმა მეფემ ანისის მცხოვრებთ, განურჩევლად ეროვნებისა, დიდი წყალობა უყო (ზოგიერთი ცნობით, 40000 დრაჰმანი მისცა და ტყვედ წაყვანილი ქრისტიანები გამოისყიდა ტყვეობიდან).

1162 წელს ქართველები უფრო სამხრეთისკენ მიიწვევნ. გიორგი მეფემ „მომართა დიდად ქალაქად და სახელგანთქმულ დვინად, ან რომელ არს არარატისა ძირსა ზღვარი სომხეთისა და ადარბადაჯანისა“. დვინიც საქართველოს მეფის ძალაუფლებას დამორჩილდა.

ანისისა და დვინის დაკარგვამ მაჰმადიანთა ამირები სასტიკად განარისხა. საქართველოს ასეთმა აქტიურობამ ისინი აიძულა, უფრო მეტი ერთსულოვნებით შეკავშირებულიყვნენ და ქართველებისათვის წინააღმდეგობა შეერთებული ძალით გაენიათ. ხლათის მფლობელი დიარბექირის მმართველი, შაჰი არმენად წოდებული და არზრუმის ამირა დაიძრნენ საქართველოს წინააღმდეგ „და მომართეს ქუემოკერძოსა ქუეყანასა სომხითისასა და მოადგეს ციხესა გაგიასასა, აიღეს იგი და მოაოღრნეს ყოველი საზღვარნი“.

გაუგია თუ არა ეს ამბავი გიორგი მეფეს, სასწრაფოდ აგამოასხნა ოვსნი და ქუეყანანი დიდძალნი და მომართა სულტანსა... ვითარცა ცნა ეს სულტანმან, ათაბაგმან და ყოველთა ფელაგანთა და დიდებულთა მათა, თქუეს ვითარმედ: „არა არს კაცი დღეს პირისპირ შემზემელი გიორგისი და მისთა ლაშქართა ქუეყანასა ზედა; მივრიდით თავი და ვეფაროთ“. მაჰმადიანთა კოალიციური ლაშქარი უკუიქცა დამარცხებული (ისტორიკოსთა ცნობით, ლაშქარს ელდიგუზ ათაბაგი სარდლობდა).

რაკი მაჰმადიანებმა უკან დაიხიეს, საქართველოს ლაშქრის თავკაცობას და თვით გიორგი მეფეს საქმე დამთავრებულიად მოსჩვენებიათ. განცხრომისა და დროსტარებისათვის მოუცლიათ. მოწინააღმდეგეებს კი ლაშქრობის დამთავრება არც უფიქრიათ. პირიქით, მათ საქართველოს ლაშქრის მდგომარეობის დაზვერვა მოახერხეს სხვადასხვა გზით და ანისს შეუტიეს. ეს ქართველთათვის იმდენად მოულოდნელი იყო, რომ წინა-



დემეტრე I-ის მეფედ ქურთხევის სცენა. მასხპარიშის ფრესკა

აღმდეგობა არ გაუწევიათ და „სიკლტოლვა“ აირჩიეს.

სომეხი ისტორიკოსი ვარდან ბარძერდუცი თავის „ისტორიაში“ გადმოგვცემს, რომ ოთხი წლის განმავლობაში ანისს მტრისგან მოსვენება არ ჰქონია. საქართველოსაც თანდათან უჭირდა ბრძოლა ანისისათვის. ამიტომ, როდესაც ელდიგუზ ათაბაგი თვით შემოევენა გიორგი მეფეს ზავს, საქართველოს მეფე კმაყოფილი დათანხმებულია. თანაც „უბოძა ანისი თვისსავე მემამულესა და ითაყვანა თავისა თვისისა ყმადა“. ამრიგად, ანისის ახალი მუსლიმი მმართველი საქართველოს მეფის ხელქვეითი და მორჩილი გამხდარა.

ამავე პერიოდში გიორგი მესამემ ილაშქრა შირვანში, სადაც მისი დისწული აღსართანი მეფობდა. შირვან-შაჰი საქართველოს მეფის ყმადნაფიცად ითვლებოდა. ამიტომ როდესაც იგი, „დაჭირებული დარუბანდელთა ხაზართაგან“, შეელაშა შეხვეწა საქართველოს მეფეს, გიორგი მესამე ჯარით მიემგზავდა 1167 წელს. ქართველთა მხედრობა მივიდა დარუბანდის კარამდე, მოაოხრა მუსკურისა და შარაბამის ქვეყანა და აიღო ქალაქი შაბურანი. როგორც „ისტორიანი და აზმანი“ გადმოგვცემს, შაბურანი საქართველოს მეფეს აღსართანისათვის უწყალობებია.

შირვანის შემომტკიცება საქართველოს პირდაპირ ინტერესებს ემსახურებოდა. აზრებუშით მდიდარი შირვანი შემოსავლის წყარო იყო საქართველოსათვის, შირვანის დაკავებით ქართველები საფრთხეს უქმნიდნენ განძას, რომელიც თურქების მთავარი საყრდენი იყო ამიერკავკასიაში. და ბოლოს, საქართველო თანამიმდევრულად ატარებდა ქრისტიანული ქვეყნების შემოკრებისა და მათი ერთ სახელმწიფოდ გაერთიანების პოლიტიკას.

1173 წელს, სომეხი ისტორიკოსის ვარდანის ცნობით, გიორგი მესამეს ანი-სი აუღია, ქალაქის ამირა კი თან წაუყვანია. განაწყენებული თურქები ქალაქს მოსდგომიან. ანისის მცხოვრებთა დაჟინებული თხოვნით ივანე ამირსპასალარმა ანისის თურქებისათვის დათმობაზე უარი თქვა.

შირვანისა და სომხეთის დიდი ნაწილის შემომტკიცება საქართველოს სამეფო კარის შორსგახედული პოლიტიკის და აგრეთვე მისი მეფის — გიორგი მესამის, როგორც ძლიერი და ნიჭიერი მხედართუფროსის, დამსახურებას უნდა მიეწეროს.

როგორც ვხედავთ, XII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველო პოლიტიკურად ძლიერი ქვეყანაა. მას საკმაოდ დიდი გავლენა და ავტორიტეტი აქვს მოპოვებული საერთაშორისო მასშტაბით, საქართველოს მეფე ძლიერია და პატივდებული. რაც შეეხება ქვეყნის საშინაო მდგომარეობას, აქ უფრო რთულადაა საქმე. XII საუკუნის მეორე ნახევარში ფეოდალური საქართველო განვითარების ისეთ სტადიაში იმყოფებოდა, რომ ეს სირთულე აშკარად გამოჩნდა.

ამიტომ არ ყოფილა შემთხვევითი, რომ, როცა საქართველომ თავისი ძლევა მოსილესით შორს გაითქვა სახელი მეზობელ სახელმწიფოებში, თვითმპყრობელი მეფისა და სამეფო კარის წინააღ-

მდეგ ქვეყნის შიგნით დიდი და ძლიერი აჯანყება მომზადდა.

ორბელთა ამბოხება

XI საუკუნის მეორე ნახევარში ფეოდალური საქართველოს საზოგადოების განვითარება მეტად რთულ ვითარებაში მიმდინარეობდა, რომლის ერთ-ერთი ნიშანი იყო ფეოდალური წარმოებიდან გამოძევებული, ენ. „გლახაკთა“ სიმრავლე, რაც მძიმე ტვირთად აწევებოდა მატერიალური დოვლათის მწარმოებელ მოსახლეობას. საზოგადოების განვითარებაში კრიზისის მომასწავებელი იყო „მეკობრეთა“ სიმრავლე („მეკობრენიც“ ფეოდალური წარმოებიდან გამოძევებული იყვნენ).

გაძლიერებული დიდებული აზნაურები ვეღარ ეგუებოდნენ მეფის თვითმპყრობელობას და შეუვალრებაზე ფიქრობდნენ. უკმაყოფილონი იყვნენ დიდაზნაურთა ხელქვეით მყოფი აზნაურები, რადგან მათ (იმის გამო რომ დიდაზნაურებს მორჩილებდნენ) ალხევების იმედს გადანურული ჰქონდათ.

დიდგვაროვანი ფეოდალები ყოველ-

ტახტზე აყვანა საზოგადოების თვალში შესაძლოა, გამართლებულიყო. აჯანყებაში მონაწილეობა მიიღო ფეოდალთა დიდმა ჯგუფმა ივანე ორბელის ხელმძღვანელობით.

აჯანყების რომელიც 1177 წელს დაიწყო, მონაწილეებს, გეგმის მიხედვით უნდა აეღოთ ძლიერი ციხე-ქალაქები, გამაგრებულიყვნენ და ერთიანი ძალით დაემხოთ გიორგი III, მის ნაცვლად კი დემეტრე (დემნა) გაემეფებინათ. რა თქმა უნდა, ასეთ შემთხვევაში დემეტრე ფიქტიური მეფე იქნებოდა და მისი სახელმწიფო მმართველობა დიდ ფეოდალთა ხელში აღმოჩნდებოდა.

როგორც კი შეატყობინეს სახატეს მდგარ მეფეს ამბოხების შესახებ, სასწრაფოდ თბილისში წავიდა და იწყო ერთგული ლაშქრის შეგროვება. მეფემ მოკლე დროში შემოიკრიბა ირგვლივ თავისი ერთგულები და საკმაო ლაშქარიც შეაგროვა.

აჯანყების მსვლელობა ასე წარიმართა: თავდაპირველად მემამოხეებმა კაიანისა და კაიწონის მეციხოვნეები და

როინ მებრძოლი

უპიდ სამეფოდ განწესებული

„რუსთაველის ეპოქის საქართველოს ისტორია“



თვის, როგორც კი საშუალება მიეცემოდათ, ცდილობდნენ, განდგომოდნენ და დაპირისპირებოდნენ მეფეს. მეფეებიც, თავის მხრივ, მეტ-ნაკლებად წარმატებით ებრძოდნენ ამ ცენტრალურ დასაწყობებს და ცდილობდნენ, განემტკიცებინათ ცენტრალური სახელმწიფოებრივი აპარატი.

XII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში საკმაოდ დანაშაულებული ჩანს ეკონომიკურად და სოციალურად ფეოდალთა ერთი ჯგუფი. ესენი არიან: ამირსპასალარი ივანე ორბელი, ივანე ვარდანის ძე, შოთა ძე ართავაწოს ძისა, ქართლის ერისთავი ლიპარიტ სუმბატის ძე, მეჯინიბეთუხუცესი ქავთარ ივანეს ძე და სხვ. მათ დანაშაულებას რამდენადმე ხელი შეუწყო თვით მეფის წყალობებმა. ასეთი წყალობების გაღებაში გიორგი მესამე პირველი არ ყოფილა და არც უკანასკნელი. ერთი რამ ცხადია, რომ როდესაც მეფეები წყალობას გასცემდნენ, ეს გარკვეული იძულებით ხდებოდა, რადგან ბოძება ხდებოდა ამა თუ იმ დიდ ფეოდალზე მას შემდეგ, რაც ეს უკანასკნელი გარკვეულ ავტორიტეტს მოიპოვებდა მოსახლეობაში. მეფე კი ცდილობდა, ასეთი პიროვნება თავის ერთგულებაში ჰყოლოდა, ამიტომ იკლებდა უფლებასა და სიმდიდრესაც და ამა თუ იმ ფეოდალს გადაულოცავდა.

ივანე ორბელი და მასთან ერთად ფეოდალთა გარკვეული ჯგუფი საკუთარი მცდელობითა და მეფის შემწეობით ეკონომიკურად და სოციალურად დანაშაულებული არიან და იწყებენ ბრძოლას მათი მდგომარეობის შესაბამისი პოლიტიკური უფლებების მოპოვებისათვის.

დიდება ფეოდალებმა სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის საბაზად დემნა უფლისწული გამოიყენეს. დემნა დავით V-ის შვილი იყო და მისი

მხედართუფროსები დაითანხმეს მეფის წინააღმდეგ გამოსვლაზე. საჭირო იყო მოსახლეობასაც შეენყო ხელი აჯანყებულებისათვის. აჯანყებულთა შთაბეზების მიხედვით, პირველნი შატის, პერთისა და კახეთის მხარეების მთავრები აჯანყდნენ. ხოლო კაიანისა და კაიწონის მმართველები თავიანთ ციხეებში გამაგრდნენ და მათი მოსაზღვრე მეფის მხარეები აიკლეს. ამის შემდეგ დემნა უფლისწულის, ამ „ახალი მეფის“ მეთაურობით (რომელიც ორბელებმა გადაბირებით აგარაკის სიმამრები მიიყ-



გიორგი III. გიორგი ბაგრატიონის ნახატი

ვანეს და მეფედ გამოაცხადეს) აჯანყებულებმა ყველა თავისი თანამზრახველის შეკრება მოინდომეს, რადგან პირდაპირ მეფეზე მისვლა, როგორც ჩანს, ვერ გაბედეს. განზრახვა ერთი იყო — მეფის შეპყრობა. ამ დროს გიორგი III თანდათან იკრებდა ძალებს. თავის ლაშქარს დიდ წყალობას შეპირდა (ლაშქრის შემადგენლობაში დევლებისა და ქართლის მხარის საზღვრებში მყოფი მეომრებიც იყვნენ) და

ივანე ორბელის მამულს მიაშურა, იავარჰქმნა და სასახლეები გადანვა, შემდეგ კი ამბოხებულთა წინააღმდეგ გაემართა.

აჯანყებულები, ბუნებრივია, თვალყურს ადევნებდნენ გიორგი მესამის ამგვარ გაძლიერებასა და მოქმედებას, რასაც შეუშინებია ისინი და მერყეობა დაუწყიათ. ივანეს მომხრე ბევრ დიდებულს სანაწებლადაც კი გაუხსდა, რომ მეფის მოწინააღმდეგეთა ბანაკში აღმოჩნდა. მერყეობამ მემამოხეთა შორის გარკვეული განხეთქილება გამოიწვია. დიდებულებმა იწყეს დემეტრე-ივანესაგან ჩამოშორება და გიორგი მესამესთან მისვლა. პირველი — დიდი გამრეკელი ჩამოშორდა მემამოხეთა ბანაკს და მეფეს

მიუვიდა. მის მაგალითს მიბაძა გრიგოლ ანელმაც. ამის შემდეგ ბევრი დიდებულ-ლი ჩამოსცილდა განდგომილებს და მეფის მომხრეთა დასს შეუერთდა. გიორგი მესამემ დიდებულები მაღალი პატივით მიიღო.

გაძლიერებულმა საქართველოს მეფემ „შემყრელმან ლაშქართა თბილისით ქალაქით მიმართა სომხთის მთასა“ და თავზარი დასცა მეამბოხეებს („აოტნა, გააქცივნა“).

ივანე ორბელმა შეიტყო თუ არა, რომ მეფე ლაშქრით მის წინააღმდეგ მოემართებოდა, მთელი თავისი ქონება სამშვილდის ციხეს შეაფარა („სადაც იყო საუნჯე წინაპართა მისთა“), რამდენიმე მეციხოვნე დატოვა, თვითონ კი თავისი ჯარით დემნასთან ერთად ლორეს ციხეში გამაგრდა.

ივანე ორბელის ბანაკი იმცრობოდა და სუსტდებოდა, ხოლო გიორგი მესამე ძლიერდებოდა და თანდათან უფრო და უფრო აქტიურად მოქმედებდა აჯანყებულთა წინააღმდეგ. მან აჯანყებულებს „მიუხუნა ყოველნი სიმაგრენი და ციხენი“, მეამბოხეებს ჩამოშორდა და მეფეს მიუვიდა სარგის მხარგრძელი „შვილითა და ძმისწულითა მისითა“. საქართველოს მეფემ „შეიყვარა და შეიტკბო იგი“. გიორგი მესამე ენერგიულ სამხედრო მოქმედებაზე გადავიდა, თან დიპლომატიურ მოლაპარაკებასაც ეწეოდა ივანე ორბელთან. მოციქულების პირით იგი შერიგებას სთხოვდა ამბოხებულ ამირსპასალარს, მაგრამ ეს უკანასკნელი არ თანხმდებოდა გარკვეული დათმობების გარეშე.

რაკი მშვიდობიანი მოლაპარაკებით ვერ მიაღწია სასურველ შედეგს, გიორგი მესამემ ძალას მიმართა. აჯანყებულებს ლორეს ციხეში მიაღება და ალყა შემოარტყა. სომეხი ისტორიკოსის დავით ქობაჩიშვილის ცნობით, ამ დროს ივანე ორბელმა დაშხმარე ძალა მოუდიოდა, მაგრამ როცა ამ უკანასკნელთ საკუთარი თვალთ უხილავთ გიორგი მესამის ძლევამოსილი ლაშქარი, თავგზა აბნევიათ და უბრძოლველად უკან გაბრუნებულან. მეფის მოლაშქრეები სხვა ციხეებში გამაგრებულებსაც გაუსწორდნენ და ერთიანად ყველა მორჩილების სასიათზე დააყენეს. აჯანყებულთა შორის არეუ-დარევა დაიწყო. თვით დემეტრეს (დემნა) საბუნდოვან მოსაშველად (ციხიდან, გამოპარულა და მეფესთან მისულა. როცა დიპლომატიამ არ გასჭრა, მეფემ ძალას მიმართა და „ამირსპასალარი და სსუანი, რომელნი დარჩეს ციხესა შინა, გამოასხეს“.

საქართველოს მეფემ მკაცრად დასაჯა მეამბოხეები: ივანე ორბელს თვალე-ბი დასთხარეს, აჯანყების ბევრი მოთავე სიკვდილით დასაჯეს („ორბელი მიეფ-მან იპყნა და დასოცნა“). დემეტრე უფლისწულს თვალეები დასთხარეს და დაასაჭურისეს. ამ უკანასკნელი აქტივით გიორგი III-მ ძირიანად მოსპო მომავალში რაიმე გაუგებრობა ტახტის მემკვიდრეობის თაობაზე, რადგან დემეტრე ამიერიდან უშთამომავლოდ უნდა გადაე-ნებულიყო.

გიორგი III-მ ორბელთა მამულები თავის ერთგულებს (ვინც შეთქმულთა წინააღმდეგ მეფის მხარეზე იყო) უწყალო-ბა. მათ შორის დიდი ნაწილი – ნაყივ-ჩაყარ ყუბასარს, რომელიც ერთგულე-ბასთან ერთად თავისი ღირსებებითაც გამოირჩეოდა. მეფემ იგი საქართველოს ამირსპასალარად დანიშნა. ასევე „უგ-ვარო“ აფრიდონი დაანინაურა მსახურ-თუხუცესის თანამდებობაზე.

ორბელთა აჯანყების ჩახშობის შემდეგ გიორგი III-მ სამეფო ტახტზე თანამოსაყდრედ აიყვანა თავისი ძალი – თამარი: „განრჩევითა და გამოორჩევითა, განგებითა და გაგონებითა ზენისა მის სუედრისა შარაგანდედთა მნებებელისათა მეფე ყო თამა, თანადგომითა ყოველთა პატრიარქთა და ეპისკოპოზთა, დიდებულთა იმიერთა და ამიერთა, ვაზირთა და სპასალართა და სპასპეტთა და დაისუა მარჯვენით მისსა...“ (ისტორიანი აზმანი შარაგანდედთან, „ქართლის ცხოვრება“, თბ., 2008, გვ. 396).

ანონსი

მომავალ ხუთშაბათს: „თამარ შეიდმნათობიერი“

© SOS!

15 აპრილს ოპაშირეზული აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებამ საკონტროლო-გამშვები პუნქტი „თაბილონი“ დახურა და ენგურზე გამავალი საფრანგულ-სომხი დანა-ბრძოლა. ეს სიხალე მოსახლეობაზე უკვე ახლავს მძიმედი ანსახა და ხალხი მდგომარეობის კიდევ მითად გაუარესებას მოელოს.

ენგურის ხილვა რიგი გასაშვებად

რომშირც „აქცენტს“ ადგილობრივებმა უამბეს, ბაზრობის დღეები კვირის განმავლობაში მხოლოდ სამია, შესაბამისად, მოსახლეობას შეუძლია, ქალაქამდე ტრანსპორტით მხოლოდ ამ დღეებში იმგზავროს, თუმცა, ისიც იმდენად ცუდი განრიგით გადაადგილდება, რომ მათ ერთი მცირე საქმის მოსაგვარებლად ქალაქში ჩასვლა რამდენჯერმე უწევთ.

„ყველა სოფლიდან ტრანსპორტი ადგილობრივი დროით, დილის 8 საათზე გადის და უკან 13 სთ-ზე ბრუნდება. მოსახლეობამ ამ დროის განმავლობაში უნდა მოასწროს ბაზრობაზე გასვლა, საჭიროების შემთხვევაში სამედიცინო მომსახურების მიღება, საბუთებთან დაკავშირებული საკითხების მოგვარება თუ სხვა საქმეები, რაც შეუძლებელია, ამიტომაც ერთი საქმის დასასრულებლად 4-5 ჯერ გვინევს ქალაქში ჩასვლა. არადა, როდესაც სოფელთან იყო პირდაპირ გამშვები პუნქტი, ნახევარ საათში უკვე ზუგდიდში ვიყავით და 19:00 სთ-მდე ყველაფერს ვასრულებდით“, – განუცხადა „აქცენტს“ ერთ-ერთმა ადგილობრივმა.

ამასთან, გამშვები პუნქტის გაუქმების გამო ენგურის ცენტრალურ ხიდზე რიგი გასაშვებია. „მანამდე დილის 7 საათიდან მდგომარე, 11-12 საათზე გინევდა რიგი, ახლა კი შეიძლება, საღამომდე მოგინდეს დგომა, რადგან გამშვები პუნქტის დაკეტვის შემდეგ ყველა ცენტრალურ ხიდს მოადგა“ – ყვება მოსახლეობა.

რეჟონტი თუ გაუქმება?

იმას, რომ მდინარე ენგურზე არსებული ექვსივე გადასასვლელი, რომელიც აფხაზეთის მოსახლეობას საქართველოს დანარჩენ რეგიონებთან კავშირის შენარჩუნების შესაძლებლობას აძლევს, სარემონტო, ადგილობრივი მოსახლეობაც ადასტურებს, თუმცა თუ აფხაზეთის მხარის წარმომადგენლებმა განცხადებებით ვიმსჯელებთ, ნაკლებ საგარეუდოა, რემონტის შემდეგ ცენტრალურის გარდა, რომელიმე მათგანი ისევ გაიხსნას: აქაურ ქართველობას კარგად ახსოვს დე ფაქტო პრეზიდენტ რაულ ხაჯიმბას ერთ-ერთი წინასაარჩევნო დაპირება, რომ ენგურზე 6 არსებული გადასასვლელიდან მხოლოდ ერთი დარჩებოდა – ცენტრალური.

მაშინ საქართველოს შერიგებისა და სა-მოქალაქო თანასწორობის საკითხთა სა-ხელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი იმედს გამოთქვამდა, რომ რაულ ხაჯიმბა ამ გადანაცვლებას გადახედავდა და გა-ითვალისწინებდა ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებს. თუმცა თუ გალის რაიონის დე ფაქტო ადმინისტრაციის უფრო-სის მოვალეობის შემსრულებლის განცხადებით ვიმსჯელებთ, რომელმაც „თაგი-ლონის“ საკონტროლო-გამშვები პუნქტის დახურვა „აფხაზეთის ეკონომიკურ უსაფ-რობოებას“ დაუკავშირა, რაულ ხაჯიმბას წინასაარჩევნო დაპირება კვლავ ძალაში რჩება: „კონტროლის ერთ ადგილზე წარმოება ყოველთვის უფრო ადვილია და რამდენჯერმე ეფექტური, ვიდრე მთელს საზღ-ვარზე გაფანტული საკონტროლო-გამშვები პუნქტების მეშვეობით, მით უფრო, როდესაც საუბარია საზღვარზე, საიდანაც მთელი ამ წლების განმავლობაში ტერო-რისტული საფრთხე მოდის და მაღალია კონტრაბანდის მაჩვენებელი. ანუ, საკონ-ტროლო-გამშვები პუნქტის დახურვა ქვეყ-ნის ეკონომიკური უსაფრთხოების სა-კითხია“ – აღნიშნა თემურ ნადარაია.

ამასთან, მან ისტორია გაიხსენა: „გა-დანყვეტილებები სპონტანურად არ მიღე-ბულა. წელიწად-ნახევარი გასდა საჭირო რაულ ხაჯიმბას წინასაარჩევნო დაპირების რეალიზების დასაწყებად“ – აღნიშნა გა-ლის რაიონის დე ფაქტო ადმინისტრაცი-ის უფროსის მოვალეობის შემსრულებელ-მა. მისივე თქმით, „ადგილობრივი მშვიდო-



გაღელვებს გათენების ეპიდემია!

ბიანი მოსახლეობის კომფორტისთვის სა-კონტროლო-გამშვები პუნქტის დახურვა ხი-აცხა-ფიარას გზის კაპიტალურ რემონტს და-უკავშირეს, რომელიც თავილონში გაიე-ლის: „გარემონტებული გზით ავტოტრან-სპორტით ენგურის გადასასვლელამდე მის-ვლა 12 წუთშია შესაძლებელი, მაშინ, რო-დესაც ადრე ამას საათზე მეტი დრო სჭირ-დებოდა და მანქანები სწირად გზაზე მწყობ-რიდან გამოდიოდა. ახლა ეს პრობლემა თა-გილონლებისთვის მოსწონია“.

გარდა ამისა, ნადარაიამ რაიონის ქვე-და და ზედა ზონების დამაკავშირებელი გზის მიმდინარე კაპიტალური რემონტის მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება: „ეს გზა, რომელიც ახლა კაპიტალურად კეთდება, ერთმანეთთან 5 სოფელს აკავ-შირებს, რომელშიც, საერთო ჯამში, თით-ქმის 7000 ადამიანი ცხოვრობს. იგი სახელ-მწიფო საზღვრის პარალელურად გადის. ვთვლით, რომ ამ გზამ სტრატეგიული მნიშვნელობა შეიძინა როგორც სოცია-ლურ-ეკონომიკური, ისე სამხედრო-პოლი-ტიკური თვალსაზრისით. რემონტი აფხა-ზეთის სოციალურ-ეკონომიკური განვი-თარების საინვესტიციო პროგრამის სახ-სრებით წარმოებს“ – დასძინა მან.

რუსულ-აფხაზეთი ბიზნესი

იმას, რომ რაიონში საგზაო სამუშა-ოები წარმოებს, ადგილობრივებიც ადას-ტურებენ: „აკეთებენ გზებს, თავილონამ-დე ასფალტია დაგებული, ახლა გზა მეორე ოტობაიას სიღამდე იცვება. გზა ენგურის თითქმის მთელს სიგრძეზეა გაყვანილი. იგი თითქმის ყველა სოფელს ცენტრალურ ხიდთან და საკონტროლო-გამშვებ პუნქ-ტთან აკავშირებს, ასე, რომ საკმაოდ გრძელი გზაა“, – აღნიშნა გალის ერთ-ერ-თმა მცხოვრებმა. მაგრამ ის, რომ გადა-სასვლელებზე პროდუქტებისა და ტექნი-კის გადატანა აიკრძალა, ნაკლებ საგარე-უდოა, მოსახლეობის კეთილდღეობაზე იყოს გათვლილი: „იმ დღეს ერთმა ქალ-ბატონმა სულ რაღაც 2 კილო პომიდორი და კიტრი ენგურში გადაყარა, რადგან უთხრეს, კიტრისა და პომიდვრის გატანა ოფიციალურად აკრძალულიაო. ჩვენი ინ-ფორმაციით, ეს რუსულ-აფხაზეთ პრო-ექტს – ბოსტნეულის ძალიან დიდი სათ-ბურის გაშენებას უკავშირდება და სანამ ამ სათბურში მოყვანილი ბოსტნეულის რე-ალიზაცია არ მოხდება, ენგურზე საქარ-თველოდან უბრალო მოსახლეობა ერთ კი-ლოგრამაზე ვერ შემოიქნას“ – განუცხადა „აქცენტს“ გალის რაიონის მცხოვრებმა.

„ვარ 4 შვილის დედა, ქვრივი, დედამთი-ლი მესმარება ბავშვების გაზრდაში. ვვაჭ-რობ რძის პროდუქტით. სენაკიდან ჩამაქვს სოსურში და ვაბარებ. უკვე ერთი კვირაა, ყვე-ლაფერი აგვიკრძალეს – ერთი კილოგრამი ყველის გატანაც კი. ჩემი დედამთილისა და ბავშვების პენსია ერთად 2300 რუბლია (მწ-ლარი). მეშინია გათენების – აღარ ვიცი, ბავ-შვებს რა ვაჭამო!“ – ამბობს მეორე ადგი-ლობრივი ქალბატონი და იქვე დასძენს, რომ „სოსურში ბაზრობებზეც უკმაყოფილებაა: ხალხი ამბობს, თუ ყველი სენაკიდან არ შე-ვა, რუსული კიდევ უფრო გაძვირდება“.

ერთი სიტყვით, ქართველ მოსახლეო-ბას, რომელიც მანამდეც არ იყო განებივ-რებული ხელისუფლების ყურადღებით, ახლა კიდევ უფრო გაუჭირდა და უკმა-ყოფილებას არ მალავს:

„ან ქარხნები იყოს აღდგენილი, ან ფაბ-რიკები, ან რაიმე სხვა დაწესებულებები,

სადაც შევძლებდით მუშაობას და ხელფა-სი გვექნებოდა პენსია 500 რუბლია, ანუ 16,5 ლარი სახლებს ჩვენ არ გვიფორმებენ, საკუთარ ქონებაზე უფლება არ გვაქვს, პასპორტი ჩვენ არ გავგაწიანა და რაიმე სა-ბუთი... ჩემი შვილიშვილი მეზობელთან ვერ გადის სატელეფონო ზარის გარეშე – ვაი თუ ვინმემ დაიჭიროს: პასპორტის უქონ-ლობის გამო არც ჯარიმა ასცდება და არც რამდენიმე დღე ციხეში ჯდომა, არადა, აქ დაიბადა, სკოლა აქ დაამთავრა და აქ ცხოვრობს... სად არიან ადამიანის უფლე-ბების დამცველები, სახალხო დამცველი, მთავრობა?! სხვა ქვეყანაში მომხდარ ამ-ბებზე მთელი კვირა ტელევიზიით ლაქლა-ქებენ და საკუთარ ხალხზე საერთოდ არ ფიქრობენ!“ – ბრაზობს „აქცენტთან“ სა-უბრისას დაბალ ზონაში მცხოვრები 68 წლის ქალბატონი.

„ეს ყველაფერი ძალიან შუშვლის ხელს ორი მხარის კომუნიკაციას...“

ამას თან უამრავი სხვა პრობლემა ერ-თვის: როგორც ადგილობრივები ყვები-ან, გალის რაიონის მიწები თითქმის მთლიანად რუსებსა და აფხაზებს გადა-ეცათ იჯარით, იქ უკვე თხილისა და მან-დარინის გაშენებას იწყებენ, აძიუბუაში ბერძენმა ბიზნესმენებმა მარწყვი გააშე-ნეს, აგუბედიაში – რუსებმა კურზიუს პლანტაციები, ადგილობრივი მოსახლე-ობა კი, რომელიც ყიდვა-გაყიდვით არ-ჩენდა ოჯახებს, უშუშევი რჩება.

„ამბობენ, უახლოეს ხანებში გამშვები პუნქტები სხვა სოფლებშიც გაუქმდება. იმა-საც ამბობენ, დაბალი ზონის ყველა სკოლა ოფიციალურად გადავა რუსულ ენაზეო. სამსახურიდან ნელ-ნელა უკვე უშვებენ ყვე-ლას, ვისაც „ქართველი“ უწერია პასპორ-ტში. მათ ნაცვლად ნიშნავენ აფხაზებს, რო-მელთაც შესაბამისი კვალიფიკაცია არ გა-აჩნიათ და თავის რაიონებში ვერ დაასა-მეს. აგერ, გალში ტელევიზიის უფროსი ყო-ფილი მემხატეა, ადმინისტრაციაში ბუღალ-ტერი ოჩამჩირელი პენსიონერია, კულტუ-რის განყოფილების გამგე კი – სტუდენტი ტყვარჩელისა, სოფლების გამგებლები ოჩამჩირესა და ტყვარჩელის რაიონების სოფლების რიგითი მცხოვრებლები არიან. ქალაქის ტერიტორიაზე სახლების ჩამორ-თმევა და ბიზნესმენებზე გაყიდვა მიმდინა-რეობს და ასე შემდეგ“ – წუხს „აქცენტთან“ საუბრისას ადგილობრივი ქართველობა.

ხაჯიმბა ქართველებისადმი წინამორ-ბედის კეთილი ნების ყესტს აუქმებს... თბილისი დუშს.

ისევ გამშვები პუნქტების დახურვის პრობლემას რომ დაეუბრუნდეთ, ყველა ეს პუნქტი, ცენტრალურის გარდა, 2013 წლის მაისში გაიხსნა. მაშინ საქართველოს ცენტრალურმა ხელისუფლებამ მათი და-არსება ასე შეაფასა: „აფხაზეთის მხარის კეთილი ნება, რომელიც გალის რაიონის მაცხოვრებლების საცხოვრებელი პირო-ბების გაუმჯობესებაზეა მიმართული“. ახ-ლა ქართული მხარე ჯერჯერობით დუ-მილს ამჯობინებს.

შესაძლოა, საკითხი ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექა-ნიზმის ფარგლებში დაგეგმილ გალის შენ-ვედრებზე დაისვას, რომელთა განახლე-ბის შესახებ შეთანხმებას მხარეებმა რამ-დენიმეწლიანი პაუზის შემდეგ შეწყვიტ-დისკუსიების 35-ე რაუნდზე მიაღწიეს. თუმცა, როდის გაიმართება გალის აღდ-გენილი ფორმატის პირველი შეხვედრა, ჯერჯერობით უცნობია.

„აძცენტი“

რუსული გამოცემა „Независимая газета“ აქვეყნებს მოსკოვის მ. დომონოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მსოფლიო პოლიტიკის კათედრის დოცენტის ალექსეი ფანჩენკოს სტატიას, რომელიც საქართველო-რუსეთის ურთიერთობას ეხება.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“
გთავაზობთ სტატიის ქართულენოვან ვერ-
სიას:

ამ განაზღვრულზე მოსკოვსა და ცხინვალს შორის ურთიერთობებში ახალი დღის წეს-რიგი გაჩნდა: ჯერ კიდევ 21 მარტს სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტმა ლეონიდ თიბილოვმა გაზეთ „კომერსანტისადმი“ ინტერვიუში განაცხადა, რომ „სამხრეთ ოსეთის მოსახლეობა რუსეთის შემაღდგენლობაში შესვლას ელოდებოდა“ და რომ ამ მიზნით რეფერენდუმის ჩატარება გვაქვს დაგეგმილი, მოგვიანებით კი, 4 აპრილს, აღნიშნა, რომ განზრახული აქვს რუსეთის პრეზიდენტს მიმართოს თხოვნით ერთობლივი სამოქალაქო ორგანოს შექმნის თაობაზე, რომელსაც ჩვენს სუვერენულ უფ-ლებამოსილებას გადაეცემთო. და ბოლოს, 11 აპრილს ლეონიდ თიბილოვმა მეტ-ნაკლებად დააზუსტა რუსეთის შემაღდგენლობაში შეს-ვლის საკითხზე რეფერენდუმის ჩატარების დრო – 2016 წლის აგვისტომდე.

ცხინვალიდან გავრცელებულმა სიგან-
ლებმა თბილისის ნეგატიური რეაქცია გა-
მოიწიეს: 12 აპრილს ევროპულ და ევროატ-
ლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის
სახელმწიფო მინისტრება დავით ბაქრაძემ გა-
ნაცხადა, რომ სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო
ხელისუფლებას მიერ დაგეგმილ რეფერენ-
დუმს არავითარი იურიდიული ძალა არ ექ-
ნება, შემდეგ ანალოგიურად მოიტყა სამო-
ქალაქო თანასწორობისა და შერიგების სა-
ხელმწიფო მინისტრის მოადგილე ქეთევან
ციხელაშვილიც. პრინციპში, რაიმე მოუ-
ლოდნელი არაფერი მომხდარა, ყველაფერ-
ი ეს პროგნოზირებად იყო. საინტერესო
სხვა რაღაცაა: ქეთევან ციხელაშვილმა გა-
ისენა და დაიმოწმა სამხრეთ ოსეთის რო-
გორც „ოკუპირებული ტერიტორიის“ სტა-
ტუსი და ის გარყვნიდა, რომ სამხრეთ ოსე-
თის დამოუკიდებლობა საერთაშორისო თა-
ნამეგობრობის მიერ აღიარებული არ არის.
არადა, ბოლო წლებში საქართველოს ხელი-
სუფლავა ამ ფაქტორებზე აქცენტს მაინც-
დამაინც არ აკეთებდა.

კაცმა რომ თქვას, სამხრეთ ოსეთში რუსეთთან მიერთების საკითხზე რეფერენდუმის ჩატარება ძნელი სულაც არ არის და ეს ამოცანა რეალიზებაშია. დიდი-დიდი, ყველაზე უარეს შემთხვევაში დასავლეთმა – აშშ-მა და ევროკავშირმა შეიძლება რუსეთს კიდევ რაღაც დამატებითი საშუალება დაუწესოს, რასაც მოსკოვი უმტიკვნელოად გადაიტანს. პრობლემას უფრო ღრმად უნდა შევხედოთ: რეფერენდუმის ჩატარება ნიშნავს, რომ ამით შეწყდება მცდელობები რუსეთსა და საქართველოს შორის დიპლომატიის დაწყების მიზნით, ანუ ის, რასაც მოსკოვი გასული ოთხი წლის განმავლობაში ახორციელებდა.

2008 წლის „სუთდლიანი ომის“ შემდეგ რუსულ-ქართული ურთიერთობები მჭრელად რჩებოდა. ეუთოს მცდელობები ჟენევაში არალიარებულ რესპუბლიკებსა და საქართველოს შორის მოლაპარაკებების დაწყების მიზნით, უშედეგო აღმოჩნდა: 2010 წლის ივნისში თბილისმა უარს განაცხადა, ხელი მო-

დედამიწის ზურბზე



**შეადი უფლისწული
ქარლ ფილიპი მამა
განდა**

მას და მის მეუღლეს სოფია ჰელკვისტს ბიჭი გაუჩნდათ. ექიმებმა განაცხადეს, რომ დედა და ბავშვი თავს კარგად გრძნობენ. ჩვილი ინწონის თითქმის 3,6 კილოგრამის, მისი სიმაღლე 49 სანტიმეტრია.

**ბრიტანელმა ასტრონავტმა
საერთაშორისო კოსმოსური სადგარიდან
გაღვიძო კამეჩაკაზე ზუღკან
კლივიზსკიანს ანოზკაპული ზუღკანი**
ფოტოგრაფიის ცენტრში, რომელიც გადაიღო ტიმ მიკ-
მა, მოსჩანს კამჩატკის სამი ერთმანეთთან ახლოს მდგომი მოქ-
მედი ვულკანი: კლიოურეესკაია, უსახელო და უშკოვსკი. კლი-
ურეესკაიას მწვერვალდიან ამოდის თეთრი კვამლის სვეტი-
აბდურ მან დაბაფესირა კოსმოსიდან დედამიწის უმაღლესი
მწვერვლი ივერსკტი.

■ უცხოეთში პრესა

თამაშის ფინალი

**რუსეთი საქართველოსთან
ურთიერთობებში უნდა ჩამოყალიბდეს**



ვთვლით თუ არა საქართველოს საბოლოოდ დაკარგულად რუსეთისა და რუსული სამყაროსათვის? თუ ასე ვთვლით, მაშინ რეცენდენტში მართლაც უნდა ჩატარდეს და მტრულ სახელმწიფოსთან – საქართველოსთან არსებული საზღვარი კარგად უნდა გაავამაგროთ; თუ ასე არ ვთვლით, მაშინ უნდა ვიფიქროთ საქართველოსთან დიპლომატიის გაფართოების სტრატეგიაზე, პარალელურად კი აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთთან კავშირები უნდა შევინარჩუნოთ.

ენერა იმ შეთანხმებაზე, რომელიც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მიმართ ძალის არ გამოყენებას ითვალისწინებდა. მაგრამ ეს იყო „ერთიანი ნაცმოძრაობის“ მმართველობის დროს. 2012 წლის პირველ ოქტომბერს ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვება მოიპოვა ბიძინა ივანიშვილის ბლოკმა, რომელიც რუსეთთან დიალოგის აღდგენის დაპირებით გამოდიოდა. მართლაც, 2012 წლის დეკემბერში დაიწყო საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეცნა სამომადგენლოს ზურაბ აბაშიძისა და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის გრიგორი კარასინის შეხვედრები, რომელიც მოგვიანებით „აბაშიძე-კარასინის“ ფორმატიც ეწოდა. შეხვედრების იდეას წარმოადგენდა რუსულ-ქართული დიალოგის ისე წარმართვა, რომლის დროსაც განხილული არ იქნებოდა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სტატუსის პრობლემა, იმავდროულად კი გააღმყვედრდა რიგი ეკონომიკური და ჰუმანიტარული ხასიათის საკითხები.

თბილისისა და მოსკოვს შორის დიალოგის აღდგენა, რომელიც ქართველების თხოვნითა და ინიციატივით დაიწყო, რუსეთსაც აწყობდა. თუ იმ პერიოდს გავიხსენებთ (2012 წლის ზაფხულს), რუსეთმა პოსტსაბჭოთა ქვეყნების ეკონომიკურ ინტეგრირებაში ერთგვარი მარცხი განიცადა – მოსკოვმა ვერ შეძლო ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირში უკრაინის, უზბეკეთისა და აზერბაიჯანის შეყვანა, ამ ფონზე კი თბილისთან დაწყებული მოლაპარაკებები სატარეოპოლიტიკურ წარმატებად წარმოჩნდა.

საქართველოს საგარეო პოლიტიკაშიც ისეთი სტრატეგიული ხაზი დომინირებდა, რომელიც რუსეთთან პრაგმატული დიალოგის გატარებას გულისხმობდა. რუსეთისაკენ თბილისის შემოპარუნების მთავარ მიზეზად ეკონომიკური ინტერესი რჩებოდა. მართალია, საქართველომ ევროკავშირთან ხელმოაწერა ასოცირების შეთანხმებას, მაგრამ ამჟამად, რომ ეს დოკუმენტი სრული სახით მაინც დიდი ხნის განამტკიცებაში ვერ

ამომქმედდება – გეოგრაფიულად მხარეები ერთმანეთისაგან საკმაოდ მანძილზე არიან დაშორებული და მათ საერთო საზღვარი არა აქვთ, რუსეთის ბაზარზე და ტრანზიტი კი საქართველოსთვის ისევე პრიორიტეტულია. ცხადია, რუსეთთან დიპლომატიის აღდგენამ საქართველოს საგრძნობი დივიდენდები მოუტანა: 2013 წელს ქართული ლეიზო-რუსული ბაზარზე ტურიზმით დაბრუნდა, 2015 წლის დეკემბერში კი რუსეთმა მნიშვნელოვნად შეარბილა 2000 წელს დაწესებული მკაცრი სავიზო რეჟიმი საქართველოს მოქალაქეების მიმართ. კიდევ უფრო ადვილ გაჩნდება პირდაპირი ავიამიმოსვლა ქვეყნებს შორის...

თუმცა ეს ყველაფერი საქართველოსა და რუსეთს შორის განწყვეტილი დიპლომატიური ურთიერთობის ფონზე ხდებოდა. პოლიტიკური კავშირები კვლავ „გაყინული“ იყო. უფრო მეტიც – საქართველომ ძალზე უარყოფითი რეაგირება მოახდინა რუსეთის მიერ აფხაზეთთან (2014 წელს) და სამხრეთ ოსეთთან (2015 წელს) დადებული სამოკავშირეო ხელშეკრულებებზე. ეს ფაქტები ძალიან მწვავედ და უარყოფითად შეფასდა თბილისში ნატოს გენერალური მდივნის იენს სტოლტენბერგის ვიზიტის დროს (2015 წლის 26 აგვისტოს). სწორედ მაშინ იქნა გახსნილი თბილისთან ახლოს, კრწანისში, ნატოს ახალი სასწავლო ცენტრი, ხოლო ალიანსის გენმდივანმა საქართველოსთან სამხედრო თანამშრომლობისა და პარტნიორობის გაღრმავებაზე ისაუბრა. ამის საპასუხოდ მოსკოვმა დროებით შეაჩერა „აბაზშიძე-კარასინის“ დიალოგის ფორმატი. მართალია, შემდგომში შეხვედრები განახლდა, თუმცა მოლაპარაკების პროცესი უფრო მძიმედ მიმდინარეობდა. ამრიგად, მოცემული ფონის გათვალისწინებით, უნდა ვიყარაუდოდ, რომ სამხრეთ ოსეთის რუსეთთან მიერთება ქართულ-რუსული დიალოგის სრულლიკვიდაცის მოახდენს: საქართველო-რუსეთის ურთიერთობა 2008 წლის მტრულ პერიოდს დაუბრუნდება.

ვთვლით თუ არა ჩვენ ამ ფასს მისაღებად

— ეს საკითხი ღიად რჩება, მაგრამ რუსეთს განსაზღვრული დანაკარგებისთვის მომზადება მოუწევს:

პირველი – საეჭვოა, რომ საქართველოში დემოკრატიის ზედიზე საბატუსი შეინარჩუნოს. მართალია, მას ნაღობი არავინ მიაღებებს ავტო-ზეთისა და სამხრეთ ოსეთის მიღებულ პრობლე-მის გამო, მაგრამ ამერიკის შეერთებულ შტატ-ებს შეუძლია საქართველოს „ნატოს გარეშე სპეციალ მოკავშირის“ საბატუსი მიანიჭოს. აღ-

ბათ, საქართველოს ტერიტორიაზე ნატოს სამხედრო კონტინგენტის სამომავლო დისლოცირებისათვის შესაბამისი ინფრასტრუქტურა გაჩნდება;

მეორე — საქართველოს სრული შეიარაღებული ძალის შექმნას რუსეთ-სომხეთის სატერანობო კავშირების სფეროში. ფაქტია, რომ დღეს რუსეთისა და სომხეთის ერთმანეთთან დამაკავშირებელი ერთადერთი გზა საქართ-

ველოს ტერიტორიაზე გადის;
მესამე — საყურადღებოა, რომ საქართველო თურქეთთან ურთიერთმოქმედების მიზნით მიმდინარე წლის თებერვლიდან საკონსულტაციო შეხვედრებს მართავს. ჯერჯერობით თბილისი ფრთხილად მოქმედებს, მაგრამ რუსეთთან დამოკიდებულების მკვეთრი გაუარესების შემთხვევაში საქართველო შეიძლება უკვე გამოკვეთილი კონსტურენის მქონე თურქეთ-უკრაინის ალიანსს შეუერთდეს. ასეთ შემთხვევაში „სუაძის“ ბლოკის აღდგენასაც სრულად რეალური პერსპექტივა აქვს;

მეოთხე – რუსეთისთვის არასასიამოვნო იქნება იმიჯის დაკარგვაც. ამჟამად არსებული „ევრაზიული ეკონომიკური კავშირი“ 2002 წლის დროინდელი „ევრაზიული ეკონომიკური გაერთიანების“ განახლებული მოდიფიცაციაა. არადა, 2011 წლის შემოდგომაზე ვლადიმერ პუტინს უფრო ფართო გაერთიანების შექმნა ჰქონდა განზრახული. დღეს-დღეობით, რუსეთ-საქართველოს ეკონომიკური დაგეგმვა „ევრაზიული თანამეგობრობის“ ფარგლებს გარეთ არსებულ ყველაზე უფრო წარმატებულ პროექტს წარმოადგენს. თუ საქართველოსთან „თავაში“ დახრულდება, ეს ნიშნავს, რომ მოსკოვისთვის „ევრაზიული ინტეგრაციული სივრცის“ გარეთ ეკონომიკურ ყოფნას პერსპექტივა აღარ ექნება.

რასაკვირველია, იმის თქმა არ გვსურს, რომ სამხრეთ ოსეთის რუსეთთან მიერთების რეფერენდუმის ჩატარება საჭირო არ არის, მაგრამ ყურადღება უნდა მივაქციოთ სხვა, უფრო ღრმა პრობლემას: ვივლით თუ არა საქართველოს საბოლოოდ დაკარგულად რუსეთისა და რუსული სამყაროსათვის? თუ ასე ვივლით, მაშინ რეფერენდუმი მართლაც უნდა ჩატარდეს და მტრულ სახელმწიფოსთან – საქართველოსთან არსებული საზღვარი კარგად უნდა გაავამაგროთ; თუ ასე არ ვთვლით, მაშინ უნდა ვიფიქროთ საქართველოსთან დიალოგის გაუმართოების სამართე-გიაზე, პარალელურად კი აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთთან კავშირები უნდა შევინარჩუნოთ.

**აზო-ის იუსტიციის სამინისტრომ
დაიწყო გამოკვლევა „ზანაშის
დოკუმენტების“ საქმისთან
დაკავშირებით**

აღძრულია სისხლის სამართლის საქმე იმ ფაქტებთან დაკავშირებით, რომლებიც ნახსენებია „ბანაშის დოკუმენტებში“, განაცხადდა ნიუ-იორკის სამხრეთი ოლქის პროკურორმა პრი-იტი ბანარაშმა. პროკურორის თანამშრომლებმა ელექტრონული წერილი გაგზავნა ჟურნალისტი-მკვლევარების საერთაშორისო კონსორციუმში თხოვნით – განიხილონ მასთან ერთად საკითხები, რომლებიც ნახსენებია პუბლიკაციებში ოფშორ-ების შესახებ.

**ექვემოთხი მინისკჳრის მსხჳერალთა
რიმსეშა 500 კასს გაღააჟარბა**



ამასთან ერთად კიდევ დაახლოებით 1700 კაცი უგზო-უკულოდ დაკარგულად ითვლება. პრემიუმენტმა რაფაელ თორეამ, რომელიც შეწყვიტა თავისი ოფიციალური ვიზიტი იტალიაში, სტიქიურ უბედურებას უკანასკნელი 70 წლის განმავლობაში ყველაზე საშიშელი ბრტყეობა უწოდა.

**ანქარამ აუქრძალა ქვეყანაში შემოსვლა
რუსული საინფორმაციო სააგენტო
„სვობენიკის“ თერქეთის ფილიალის
მთავარ რედაქტორს**

ტურალ ქერიმოვის სიტყვებით, სტამბოლში ათათურქის სახელობის აეროპორტში მას მისცეს ქაღალდი, რომელშიც წერია, რომ მას ეკრძალება თურქეთში შესვლა. ჟურნალისტს ასევე ჩამოართვეს პრეს-რუკა და ცხოვრების ნებართვა, რის შემდეგაც მას შესთავაზეს დაბრუნდეს უკან რუსეთში პირველივე რეისით.



**ნოუ-იორკში გადამწყვეტი პრაიმერიზები
გამიართა აშშ-ში პრეზიდენტად სილვანო ღა-
ქავიჩიკაშვილი სკანდალის ფონზე**

ამერიკის შეერთებულ შტატებში ოთხშაბათს ღამით გაიმართა ნინას ბარი არჩევნები ნიუ-იორკის შტატში – ერთ-ერთ უდიდეს ოლქში დღევანდელ პრეზიდენტის მიხედვით. ამას გარდა, ეს არის პილარი კლინტონისთვის „საოჯახო“ შტატი, სადაც მან წააგო უკანასკნელი შეიდი არჩევანი რვიდან თავის მიტოქე სანდერსთან.

სურათები ურცხვი ქალბატონების სამარცხინო სმოკრაბიდან

ამ წერილის სათაური მაშინვე დაიბადა, როცა, არა მარტო მათი ოჯახების, მთელი საქართველოს შემარცხველი ფარული კადრები ვიხილე. კვლავ სკანდალი, კვლავ აურზაური, კვლავ გაჩეხვ-გამოწევა და გამიშვი-დამაჟავე. მე არც ვინმეს დამკავებელი და არც გამშვები, – მედრული საქართველოს შვილი და თხემით ტერფამდე შეძრული ვარ ვარყენილობის აღვირახსნილი პროპაგანდის გამა, რაც ჩვენი ტელეარხების ეთერიდან იდვრება.



„რუსთავი-2“-ს და აჭარის ტელევიზიას, პირველ არხს (არ ვიცი რატომ ჰქვია საზოგადოებრივი), თითქმის ყველას, გამონაკლისი მხოლოდ საპატრიარქოს არხია, ჰგონია რომ საქართველოში გეი-ადრულუმების, სექსისა და პრეგნეზიების გარდა, სხვა პრობლემა არ არსებობს. ამას წინათ პირველ არხზე ვნახე რეპორტაჟი საპარლამენტო დარბაზიდან. ხუთწუთიან სიუჟეტში 27-ჯერ გაისმა სიტყვა სექსი. „რუსთავი-2“-ზე და სხვა არხებზეც წამყვანები რესპონდენტ ქალებს ტრადიციული მისალმების ნაცვლად მიმართავენ – ძალიან სექსუალურად გამოიყურები. „X-ფაქტორის“ ჟიურის წევრმა ანრი ჯოხაძემ 14 წლის გოგონას მიმართა – შენი ცეკვა სექსუალური ძალადობააო. მაკა ასათიანისა და ნანუკა ჟორჟოლიანის გადაცემები კი, მართლაც სექსუალური ძალადობაა. წესიერ ოჯახებში ამ გადაცემებს აღარ უყურებენ. მათი ჩაქმულობა შორსაა ტელეწამყვანის აპრობირებულ სამოსისაგან, როგორც პლაჟისა და ცეკვა „ქართულის“ სამოსები. თუ ხელისუფლებამ ამ პრობლემებს დროზე არ მიხედა და კანონის ჩარჩოში არ ჩასვა, დარწმუნებული ვარ, მისი უმაღლესობა ქართველი ხალხი, ამას ქუჩის აქციებით ალაცმავს. დაგვზუნდეთ საგანგაშო ფარულ კადრებს: აფერუმ, გოგი თოფაძისა და სოფო ჭაჭელიანის ვაჟუკაცობას. ბოლოს და ბოლოს, ითქვა სიმართლე და ვაიპოვნენტებს ჩამოსხნეს ნიღაბი.

უმრავლესობაც და უმცირესობაც, მინისტრებიც, ნამინისტრალეებიც, ორპროცენტიანი პარტიების „მელადებიც“ შეთქმულებებით აუღურტულდნენ, სასწრაფოდ გამოვავლინეთ გამაგრცელებლები და მკაცრად დავსაჯეთო. რატომ ჩვენი სულიკოვებო, გეწყინათ თუ გეტკინათ? გეტკინათ თუ გეწყინათ?!

არავის წამოცდენია შვილებისა და ქმრების, ოჯახების შემარცხველნი ქალბატონები თავად რომ უნდა წავიდნენ სამსახურიდან, უნდათ ოჯახებში, თუ ქმრები შეუშვებენ, უნდათ – თავიანთ ვარსკვლავიჭუნებთან. ეს მათი კონსტიტუციური უფლებაა. მგონი აქ შევცდი და ჩვენს კონსტიტუციას შეურაცხყოფა მივაყენე, რისთვისაც ბოდიშს ვიხდი. გამაოგნა პარლამენტის თავმჯდომარის დავით უსუფაშვილის განცხადებამ, რომ მილიონს გადაუხდის მას, ვინც გამოავლენს ფარული კადრების გამაგრცელებლებს. თუმცა, არ დაუზუსტებია ეს ლარი იქნება, დოლარი თუ ევრო. არც ის უთქვამს, ამას ბიუჯეტიდან, ხელფასიდან თუ არაპრობითი შემოსავლებიდან გვპირდება. იქნებ მისი ძვირფასი სოროსის იმედი აქვს?! მე ვიღებ პასუხისმგებლობას და ვაცხადებ, რომ ფარული გადაღება განახორციელა ძვირფასმა სააკოვმა და გავრცელებაც მისი ძალისხმევით მოხდა. რაც გასაჭაროვდა – ჟურნალია. სეანსი სულ მალე იქნება. სააკოვი გასასჯაროვებს ასევე მისი გუნდის წევრების ვარყენილებსაც. გია ბარამიძემ ჩვეული ოსტატობით ჩაუშვა „მაგარი მიშა“ და პასუხს „ოცნების“ ხელისუფლებას სთხოვს, დასაჯოს გამაგრცელებლები. რაც შეეხება პარლამენტის სპიკერს, მისი მილიონზე მლეთია, მილიონს კი არა ერთ ღირსსაც არ გადაიხდის. ანდა, რომელი დაპირება შეასრულა, რომ ეს შეასრულოს?! ამ ჩანაწერების არსებობაც ყველამ იცოდა, ნაცვლამც და სხვებმაც. ამიტომ მათი გასაჯაროების შიშით, ელაქცემოდნენ სააკოვსა და მთლიანად ნაცმოდრობას. უსუფაშვილი შემთხვევას არ უშვებდა ხელიდან, არ ეთქვა, გადავარჩინეთ ნაცმოდრობაო. გადაარჩინა, მაგრამ ამაგი წყალში ჩაეყარა. დააფიქრა, რომ „მიშა მაგარია“. კიდევ მეტიც, თავის ძვირფას მუელესთან ერთად ურანიანში მიმას ხელმძღვანელ და კონსულტაციის გადიოდა, ახალ წელს ულოცავდა და წარმატებებს უსურვებდა საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლაში. სააკოვს ისეთი ლობისტები ჰყავს, პროკურატურამ ურინმაჩინის ქუდი რომ დაიხუროს, დამკვეთს მაინც ვერ იპოვის. ახლახან საქართველოში ჩვენს დასაზვერად სააკოვის დავალებით ჩამოშრძანდა ევროპის სახალხო პარტიის მეთაური ჯოზეფ დაული, რომელიც დიდი პატივით მივიღეთ. წესით და რიგით, სააკოვის და ნაცვების ძვირფასი ჯოზეფი მისი თანაპარტიულებით, პერსონა ნონ-გრატად უნდა გამოცხადდეს, მაგრამ ვინ არის გამგონი?!

ადამიანის პირადი ცხოვრება ჩვენს ვაიპოლიტიკანებს

დასასრული. დასაწყისი № 73

სამარცხინო სამარცხინო

და „ცნუსთავის“ ჟურნალისტებს მარტო, ბოდიშს ვიხდი გამოთქმისათვის, ბოზობა ჰგონიათ. არადა ყოველდღიურად გატყუებული ტელეეთერი ადამიანის პირადი ცხოვრების სურათებით. გამკითხავი არავინაა. ჩვენი მექოთნე მოსამართლეები კი ნაცურად მიერეკვებიან.

მახსოვს, ირაკლი ოქრუაშვილის ვიდეორეიდები ხაშურის ბორდელებსა თუ სასტუმროებში. მთელმა მსოფლიომ ნახა როგორ გამოყარეს გარეთ დედობილა ხაშურელი მგებუნახავები. იყო თუ არა ეს ადამიანის პირადი ცხოვრების გასაჯაროება? რატომ არ მოთხოვეს პასუხი იმ ტელეარხებს, რომლებმაც ამაზრუნე კადრები გაავრცელეს, იქნებ ამ კითხვაზე გია ბარამიძემ გვიპასუხოს. მტერი არ იყოს ისე.

ისევ დავით გურამიშვილი – „ავს თუ ავი არ ვეწოდე, კარგს სახელად რა დავარქო?!“ პროკურატურამ ფარული კადრების გამაგრცელებლები, კი ბატონო, ეძებოს, მაგრამ ხელისუფლების ვალია, ეს ქალბატონები თანამდებობებიდან დროზე გადააყენოს. მეუღლეებიც, თუ ჰყავთ, რადგან კაცი, რომელიც ოჯახს ვერ უვლის, ქვეყანას როგორ მოუვლის?!


